პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Совета депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 38-ე წელი № 202 (10899) | სამშაბათი, 27 აგვისტო, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა პროფკავშირები—კომუნისტური პარტიის ერთგული დასაყრდენი

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღმავლობით აღნიშნავს პროფესიული კავშირების სახელოვან ორმოცდაათ წლისთავს. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, ყველა მშრომელნი ამაყობენ თავიანთი პროფკავშირებით, რომლებმაც ბრძოლისა და გაბარჯვებათა ნახევარსაუკუნოვანი გზა განვლეს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პროფკავშირები გადაიქცნენ მძლავრ ძალად, 47-მილიონიან არმიად, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. საბჭოთა ხალხის მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ ორმოცდაათი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით პროფკავშირების დაჯილდოების შესახებ უმაღლესი ჯილდოთი—ლენინის ორდენით.

ჩვენი პროფკავშირები, რომლებიც რუსეთის მუშათა კლასმა 1905-1907 წლების რევოლუციის ქარცეცხლში შექმნა, დაუცხრომლად იზრდებოდნენ და იწრთობოდნენ ცარიზმისა და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დამხობისათვის, 1917 წლის ოქტომბერში მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მოპოვებისათვის შეუპოვარ, გმირულ ბრძოლებში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გახუნზომლად გაიზარდა პროფკავშირების, როგორც ჩვენი პარტიის ერთგული და საიმედო დასაყრდენის როლი და მნიშვნელობა. ახორციელებენ რა ვ. ი. ლენინის ბრძნულ მითითებებს, საბჭოთა პროფკავშირები გადაიქცნენ ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლებად, მმართველობისა და მეურნეობის გაძღოლის სკოლად, კომუნიზმის სკოლად. პარტიული ორგანიზაციების დახმარებით პროფკავშირები სულ უფრო და უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რაზმავენ და აღფრთოვანებენ მშრომელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, მეექვსე ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან პროფკავშირული ორგანიზაციები მასების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის ამაღლებისათვის, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ფართოდ განვითარებისათვის, მეურნეობის მართვაში მშრომელთა მიზიდვისათვის. პროფკავშირული ორგანიზაციები ახორციელებენ ქმედით კონტროლს კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულებისადმი, თვალყურს ადევნებენ სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობას, დაუცხრომლად ზრუნავენ მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის. მშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა მთავარია პროფესიულ კავშირთა მთელ მოღვაწეობაში.

განსაკუთრებით დიდი როლი უნდა შეასრულონ საბჭოთა პროფკავშირებმა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოსადმი მისალმებაში პროფესიულ კავშირთა მუშაობის ახალი საბრძოლო ამოცანები დასახა.

„პროფკავშირების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში, — აამაღლონ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა, კიდევ უფრო ფართოდ მიაღებინონ მათ მონაწილეობა სამეურნეო მშენებლობის მართვაში, წარმოების დაგეგმვისა და სრულყოფის, შრომისა და ხელფასის ორგანიზაციის საქმეში; ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი ბრძოლას მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდისათვის. პროფკავშირებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებას, ჩამორჩენილი საწარმოებისათვის, მშენებლობებისათვის, საამქროებისათვის, უბნებისა და ცალკეული მუშებისათვის დახმარების გაწევას“.

პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია შემდგომ გავაუმჯობესოთ და სრულვყოთ პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, ავამაღლოთ მათი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა დიდ მოთხოვნებს უყენებს პროფესიულ კავშირებსაც. საჭიროა უფრო სწრაფად განხორციელდეს პროფკავშირების გარდაქმნა ახალ პირობებში, ამაღლდეს ადგილობრივი პროფორგანოებისა და პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, ყოველმხრივ გავითარდეს პროფკავშირთა წევრების თვითმოქმედება და აქტივობა, გაძლიერდეს ზრუნვა მშრომელების საყოფაცხოვრებო საჭიროებათა და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, პროფკავშირული დემოკრატიის ურყევად დაცვისათვის.

პარტიის XX ყრილობამ, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა დასახა, დიდი ყურადღება დაუთმო პროფესიულ კავშირთა მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. ახორციელებენ რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები ჩვენი ქვეყნის პროფკავშირებთან ერთად გახუნწყვეტლივ აუმჯობესებენ თავიანთ მუშაობას. ახლა ისინი უფრო ღრმად სწვდებიან წარმოების ეკონომიკას, უკეთ ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, უფრო მეტ მზრუნველობას იჩენენ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ამასთან ერთად არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მთელი რიგი პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა ჯერ კიდევ ვერ დგას მათ წინაშე დასახული ამოცანების დონეზე. ზოგან პროფკავშირები, როგორც ეს, მაგალითად, კასპის ცემენტის ქარხანაშია, ვერ იჩენენ სათანადო ინიციატივასა და სიმტკიცეს ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში, როგორიც არის საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესება, მუშათა და მოსამსახურეთა ჩაბმა მეურნეობის მართვაში, პროფკავშირის წევრთა აქტივობის ამაღლება, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება.

პროფკავშირული მასები სულ უფრო და უფრო აძლიერებენ ბრძოლას მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, საკავშირო პროფსაბჭოს VI პლენუმის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა საფუძველზე პროფესიული კავშირების ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნისათვის. ახალ პირობებში მუშაობის სწრაფად გარდაქმნაში პროფკავშირებს ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა ორგანიზაციებმა. ისინი მოვალენი არიან ყოველდღიურად წარმართონ პროფესიულ კავშირთა მუშაობა, მხარი დაუჭირონ ყოველ მათ ინიციატივასა და ძვირფას წამოწყებას, პროფკავშირების დაზმარებით კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ახალ საწარმოო წარმატებათა მოსაპოვებლად.

საბჭოთა პროფკავშირები უსაზღვროდ ერთგული არიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა. ისინი მხურვალედ იწონებენ და გაუხარულად ახორციელებენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად პროფკავშირებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას და აღშფოთებით დაგმეს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული, ფრაქციული საქმიანობა, რომლებიც ცდილობდნენ ლენინური გზიდან აეცდინათ პარტია.

ლენინის ორდენოსანი საბჭოთა პროფკავშირების სახელოვანი ორმოცდაათი წლისთავი აღინიშნება იმ ისტორიულ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები უმაგალითო აღმავლობით ეშზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის. ამ დიად საიუბილეო თარიღს პროფესიული კავშირები ეგებებიან კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, იმ მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულნი, რომ ახალი ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

დღეს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში მოწვეულია პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს საზეიმო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის პროფესიული კავშირების 50-ე წლისთავისადმი.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

მოსკოვს ჩამოვიდა პრეზიდენტი ხო ში მინი

26 აგვისტოს დილით მოსკოვს ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი, რომელიც სამშობლოში ბრუნდება ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ყოფნის შემდეგ. უკანასკნელ დღეებში იგი იყო ოდესაში, სტალინგრადში, ყირიმის საბჭოთა სანატორიუმებში, სევასტოპოლსა და ლენინგრადში.

მოსკოველები გულითადად მიესალმნენ პრეზიდენტ ხო ში მინს. ვაგზალში სტუმარს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. ვ. ანდროპოვი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. გ. ზაიცევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

შემხვედრთა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საელჩოების თანამშრომლები, ვიეტნამელი ჰაბუკებისა და ქალიშვილების — მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების ჯგუფი. (საკდესი).

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო პრეზიდენტი ხო ში მინი

26 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი, რომელიც სამშობლოში მიმავალი იმყოფება სსრ კავშირში.

მიღების დროს გაიმართა მეგობრული, გულითადი საუბარი.

საუბარს დაესწრნენ: ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ხოანგ ვან ხოანი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის ministრი ხოანგ მინ ზიამი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ფამ ნგოკ თხაკი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ვან კინი.

საბჭოთა მხრივ საუბარს დაესწრნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. დ. ჩუბინიძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი. (საკდესი).

ყოველწლიურად ფართოვდება საბინაო მშენებლობა დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. წელს აქ მშენებლობა კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდა. აქ ახლა ერთსა და იმავე დროს შენდება 170 სახლი, რომელთა საერთო ფართობი 60 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება. ამ ფართობის ნახევარზე მეტს დედაქალაქის მშრომელები წელსვე მიიღებენ. ს ურ ა თ ზ ე: მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთი რაიონის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ნ. გრანოვსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

მოლდავეთის სს რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა ხორცის დაგზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა

მოლდავეთის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც იბრძვიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ვადამდე, 20 აგვისტოს, 100,8 პროცენტით შეასრულეს ხორცის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა ყველა კატეგორიის მეურნეობათა მიხედვით, მათ შორის კოლმეურნეობებში 128 პროცენტით.

სახელმწიფოს 1957 წელს ჩაბარდა და მიეყიდა 54,4 ათასი ტონა ანუ 1956 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26,4 ათასი ტონით მეტი ხორცი. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა მიმდინარე წელს ჩააბარეს და მიჰყიდეს სახელმწიფოს 39,8 ათასი ტონა ხორცი, ანუ 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე გასული წლის ამ დროისათვის. სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარება და მიყიდვა გრძელდება.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

სიახლე პროფკავშირების საფინანსო საქმიანობაში

პროფკავშირთა საბჭოების როლის ამაღლებისა და მათთვის მეტი უფლებების მინიჭების შესახებ საკავშირო პროფსაბჭოს VI პლენუმის დადგენილების შესაბამისად საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ პროფკავშირული ორგანიზაციების მთელი საფინანსო საქმიანობის (დაგეგმვა, აღრიცხვა და კონტროლი) ხელმძღვანელობა პროფესიული კავშირების საკუთარი სახსრებისა და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრების დარგში ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში, დაწყებული 1958 წლის იანვრიდან, უნდა განახორციელონ პროფკავშირთა საბჭოებმა.

იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ზედმეტი მეურვეობა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტებისადმი ფინანსური მუშაობის საკითხებში, განსაზღვრულია, რომ საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებულ შემოსავალს, აგრეთვე ასიგნებებს კულტურულ-აღმზრდელობითი ღონისძიებებისათვის, სასწავლო სპორტული მუშაობისათვის, მასობრივი ფიზკულტურული ღონისძიებებისათვის, პროფკავშირის წევრებისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის, ინვენტარის, ბიბლიოთეკის წიგნების შეძენისა და სხვა ღონისძიებებისათვის კოლექტივის თავისებურებათა გათვალისწინებით ამტკიცებენ პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების საერთო კრებები (კონფერენციები).

აგრეთვე დადგენილია, რომ პროფკავშირების საწევრო ანარიცხების ძირითადი ნაწილი დარჩება პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო, საშახტო, სამშენებლო ადგილობრივი კომიტეტების განკარგულებაში და პირველ რიგში მოხმარდება კულტურულ-მასობრივ მუშაობას, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას, მუშათა და მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილებას.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირთა საბჭოებს დაავალა, რომ პროფკავშირთა რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო კომიტეტების ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების დროს გაითვალისწინონ მათი შენახვის მინიმალური ხარჯები და არ დაუშვან, რომ საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს ჩამოერთვათ სახსრები დადგენილი ოდენობის გადამეტებით, რომლებიც შემოსულია საწევრო ანარიცხებით. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1956 წელს და 1957 წლის პირველ ნახევარში 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მაღალი დონის მიღწევისა და სახელმწიფოსათვის მათი ჩაბარების გადიდებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა **კალინინგრადის** ოლქის კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკთა დიდი ჯგუფი. სულ დაჯილდოებულია 925 კაცი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 63, შრომის წითელი დროშის ორდენით — 122, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 220, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 312, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 208 კაცი.

★



რიაზანის ჩარხმშენებელი ქარხანა ეუფლება მაღალი წარმადობის სააგრეგატო ჩარხების გამოშვებას. აგვისტოს დამდეგს დამთავრდა სამოცშპინდელიანი ჩარხის აწყობა და გამოცდა. ასეთ ჩარხებს ფართოდ იყენებენ სატრაქტორო და ჩარხმშენებელ მრეწველობაში. სააგრეგატო ჩარხების აწყობაში შრომის მაღალ ნაყოფიერებას გვიჩვენებს ახალგაზრდობა. მემონტაჟეთა ბრიგადა, რომელსაც კომკავშირელი ანატოლ ხრამცოვი ხელმძღვანელობს, ცვლაში თითქმის ორ ნორმას ასრულებს. ს ურ ა თ ზ ე: ა. ხრამცოვი ამოწმებს ჩარხს დამკვეთისათვის გაგზავნის წინ.

ფოტო ა. კნიაზევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ქარხკომის თავმჯდომარე

ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. ისეა დაჩვეული გიორგი დაშნელი ცისმარე დილით საამქროების შემოვლას, ახლა კიდევაც რომ მოინდომოს, სხვანაირად ვერც მოიქცევა, ფეხები თავისთავად გახწევენ. ჩამოივლის, ხალხს მიესალმება, მიიკითხ-მოიკითხავს, როგორ მიდის საქმეები, ხომ არაფერი გეჭირთო? ერთგან დამწყები ქვანახშირის სუნი ეცემა, მეორეგან ლითონსაჭრელი ჩარხების გამაყრუებელი ხმაური, მესამეგან ელექტროშედუღების შუშხუნა ნაპერწკლები გაუელვებენ თვალწინ. ზოგი ხმამაღლა მიესალმება გიორგის, ზოგი თვალებით...

დადის საამქროდან საამქროს კორპუსებში, და ამ შეხვედრებით თითქოს ყოველ დილით აღადგენს ღამის ხანმოკლე განშორებით დარღვეულ კავშირს. ეს კავშირი კი დიდი ხანია გაინასკვა დაშნელების ოჯახსა და ქარხანას შორის.

გიორგის მამამ ვახამ თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე აქ გაატარა. 15-16 წლის ბიჭი იყო, როცა პირველად მოვიდა რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში. 1898 წელს დაიწყო მუშაობა და 1938 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე, ხელიდან არ გაუგდია ხერხი და ხელიჩო. თავის დღე და მოსწრება ორთქლმავლებზე მემანქანის ჯიხურებს აკეთებდა. დიდი გამრჯე კაცი იყო, მაგრამ უთქმელი, სიტყვაძუნწი. ის მომსწრე და მოწმე იყო მრავალი ქარიშხლიანი დღისა, რომლებიც ამ ქარხანაში რევოლუციურმა პროლეტარიატმა გადიტანა.

შვილიც მამის გზას დაადგა. რკინიგზის შრომის სკოლის რვა ჯგუფი რომ დაამთავრა, ერთხანს პატარა, კუსტარულად მოწყობილ ელექტროსადგურში ზეინკალ ალექსანდრე პავლესკოს შეგირდად მუშაობდა, ცხრაას ოცდარვაში გადმოვიდა ამ ქარხანაში. სწორედ აქ გაიარა ცხოვრების დიდი, ნამდვილი სკოლა. ზინკალიც იყო, ოსტატიც, საამქროს უფროსის მოადგილეც, უფროსიც. მუშაობდა, თან რკინიგზის ტექნიკუმში სწავლობდა. მხოლოდ რამდენიმე წლით მოსწყდა მშობლიურ ქარხანას, როცა 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტიულმა მდივნად აირჩიეს. მაგრამ, როგორც სპეციალისტი, ისევ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში დაბრუნეს, საამქროს უფროსად. მერე კი პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს „ვასოს ბიჭი“. გაისად ათი წელი შესრულდება, რაც ამ პოსტზე მუშაობს გიორგი ვასილის-ძე დაშნელი, თმაშეკერცხლილი ვაჟაცი, ტანადი, თხელი, წმინდად გაპარსული სახით, მუდამ დაფიქრებული, თითქოს რაღაცას დაესეფდიანებინოს. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, ერთი შეხედვით მოეჩვენება ადამიანს. ვინც ახლო გაიცნობს, მალე დარწმუნდება, თუ რამდენი შინაგანი სითბო, გულისხმიერება, თანაგრძნობა იფარება, მის ასეთ გარეგნობაში.

აი იმ დღესაც, ის იყო დაემთავრებინა ქარხკომის თავმჯდომარეს თავისი სადილაო „ჩამოვლა“ და კაბინეტში შევიდა, რომ გაჯავრებული, ალელვებული ხარატი ნიკოლოზ გოგიაშვილი კვალდაკვალ მიჰყვა.

— რა იყო, რა დაგემართა, კოლია? — ჰკითხა დაშნელმა.

— რა და,... — ნერწყვი გადაყლაპა მოსულმა, სული მოითქვა, — წელან იქ აღარ გითხარით, სხვებთან მომერიდა. ან მოგვცენ ცილინდრები, რამდენიც საჭიროა, რომ ვიმუშაოთ, არადა ნუ გვარცხვენენ, თუ ასე „პოროცობით“ გვაძლიეს, ვალდებულებას კი არა, გეგმასაც ვერ შევასრულებთ. სიტყვას სად გაიქცევი? პირის გატეხას თავს გატეხა სჯობიაო, სხვები თავს ისახელებენ სოციმბრიდან, ჩვენ კი პირშავები უნდა გამოვიდეთ? რათა, ძმაო?

სანამ გოგიაშვილი ლაპარაკობდა, დაშნელი ტელეფონის კომუტატორით უკვე დაეძებდა ქარხნის მთავარ ინჟინერს ბძელიშვილს.

— რა ქენით, ვერ მონახეთ? აბა სამგზავრო ვაგონებისაში დარეკე... როგორც იქნა! ამხანაგო იური, დაშნელი ვარ. მექანიკური საამქროს ხარატები ჩივიან, ცილინდრებს არ გვაძლევენო. ცუდად გვამარაგებენ? შეიძლება, მაგრამ ამათი რა ბრალია, მაშინ სხვა სამუშაო მიეცეთ, რომ დავტვირთოთ. — შეთანხმდნენ. — წადი, უთხრა გიორგიმ გოგიაშვილს, იმუშაე, თუ რამე გაგიჭირდეს, ნუ მომერიდები.

ტელეფონმა დარეკა.

— როგორ არა. ზღვაზეც გვაქვს და მთაშიც, სადაც გულით გინდა, წალვერისა და მახინჯაურის დასასვენებელ სახლებში. მაკოსხე? არა, ბიჭო, სექტემბერში არა გვაქვს, მახინჯაურში წადი, ისიც შავი ზღვა არ არის? დაფიქრდი, რომელსაც მოისურვებ, შენისთანა მუშას საგზურს ვინ დაუჭერს.

დილიდანვე ჩამოცხა, ოთახში სუნთქვა ჭირდა. გიორგი უცნაურად დახვეულ ცხვირსახოცს პროპელერივით ატრიალებდა და ისე ინიავებდა. ადგა, ფანჯარა გამოაღო, ცხელი ბუღი შემოვარდა. ქარხნის მაღაზიაში რაღაცას არიგებდნენ, მაღაზიის წინ შესვენებაზე გამოსული მუშები ირეოდნენ. წავალ, სახადილოს დავხედავ, გაიფიქრა დაშნელმა და გასვლას აპირებდა, რომ ნორმადარი ნინო ვაშაკიძე შემოვიდა, ქარხკომის ბავშვთა შორის მუშაობის კომისიის თავმჯდომარე. ლაპარაკი კაზიმირ ბლახზე ჩამოვარდა.

ამას წინათ დაშნელთან მოვიდა კაზიმირ ბლახი, ყოფილი ზეინკალი, ახლა საამქროს უფროსი, და უთხრა: ჩემი ვალერი მერვე კლასში გადავიდა, ხუთოსანია, ვატყობ, ბავშვს გული ხელობისაკენ მიუწევს, მინდა ქარხანას საზეინკლო ჩარხი შევუკვეთო, იარაღი შინა მაქვს, პატარა კუთხეს გამოვუყოფ და თავისუფალ დროს ვალერისა და მის ამხანაგებს ზეინკლობას ვასწავლი.

გიორგის ჭკუაში დაუჯდა ეს აზრი. ვაშაკიძესთან გაგზავნა. ნინო კი ვალერის სკოლაში წავიდა, დირექტორს მოელაპარაკა, პედაგოგიურად გაუმართლებელი ხომ არ იქნებაო. პირიქით, მოუწონა დირექტორმა, ნეტავ სხვა მამებიც იკისრებდნენ ამ კეთილშობილურ საქმესო. ქარხკომის დახმარებით შეკვეთა მოიღეს. ახლა იმაზე ლაპარაკობდნენ, ხომ არ გაინიზილონ საკითხი კომიტეტის სხდომაზე, სხვა მშობლებსაც ხომ არ ურჩიონ ბლახის მაგალითს მიბაძონ.

— ჯერ სასადილოში გავიარ, მერე იქ ვიქნები, ახალი სახლი რომ უნდა ავაშენოთ, ხუთწლედის ქუჩაზე. — დაიბარა გასვლისას დაშნელმა, შემობრუნდა და დაუმატა, — ვალერიან ბურჭულაძესაც დაურეკეთ, საყოფაცხოვრებო კომისიის თავმჯდომარეს, არსად წავიდეს, ერთად უნდა წავიდეთ იქ.

რამდენს ვაშენებთ, მაგრამ მაინც გვაკლია ეს ბინები, — ფიქრობდა გიორგი, — ჭირს, ჭირს. შარშანწინ საბჭოს ქუჩაზე 45-ბინიანი კეთილმოწყობილი სახლი ავაგეთ, წელს ზესტაფონის ქუჩაზე 27-ბინიანს ვაშენებთ, მაგრამ რა გინდა, დღე არ გავა, რომ ორი-სამი კაცი არ მოვიდეს ბინის სათხოვნელად. პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილება მაგარ ბიძგს მისცემს საბინაო მშენებლობის საქმეს. ახლა კი ნამდვილად გვეშველება. აი მალე ახალ დიდ სახლს ჩავუყრით საძირკველს, კიდევ 45 ოჯახს ჩავახალებთ. გიორგის მოაგონდა, ერთხელ ახალი საცხოვრებელი ფართობის ძებნაში როგორ მიაგნეს ქარხნის ორი სახლის კედლებს შუა დარჩენილ ადგილს, სადაც პატარა სახლის აგება შეიძლებოდა. მასში მხოლოდ სამი ოჯახი მოთავსდებოდა, მთხოვნელი კი ბევრი გამოჩნდა. მაშინ დიდხანს ფიქრობდა გიორგი, რა ვიღონოთო, ბოლოს საყოფაცხოვრებო კომისიას დაავალა, გულდასმით შეეწყვალთ საერთო საცხოვრებელში ფართობების გამოყენების მდგომარეობა და ბედზე მართლაც რამდენიმე ბინა გამოინახა, კიდევ თხუთმეტი მუშის ოჯახი დაბინავდა.

რამდენი რამის მოგონება შეუძლია გიორგის! რაც ის ქარხკომის თავმჯდომარეა, მას შემდეგ გაიხსნა ქარხნის პიონერთა ბანაკი მცხეთაში, მას შემდეგ მოეწყო სასპორტო მოედანი საწარმოს ტერიტორიაზე, მას შემდეგ დაიწყეს და დამთავრეს საზაფხულო კინოთეატრი. ვინ იცის კიდევ რამდენი რამ გაუკეთებიათ პროფკავშირულ აქტივისტებს, მთელ კოლექტივს ქარხკომის ინიციატივით.

— ოჰ, მოვიდნენ მონადირეები! — შესძახა გიორგიმ, — როცა საამქროს უფროსები ერშოვი და იმერლიშვილი დაინახა — რაო, რა გნებავთ?

— მანქანა, — ეშმაკურად ჩაიცინა შავ ულვაშებში ერშოვმა, ვითომც, მაგას რაღა კითხვა უნდაო.

— სანადიროდ?

— სანადიროდ.

არაო, თავი გაიქნია თავმჯდომარემ მოჩვენებითი სიმკაცრით, მერე ხელი ჩაიქნია,

— უთხარით მემანქანეს დაბეჯდოს მიმართვა.

— კი მაგრამ, ყმაწვილო, რატომ არ ბრძანდებოდი კვირას ზღვაზე, ძველ ბოლშევიკს ზაკომოლდინს რომ შევხვდით, ჰა, რას აშენებდი იმ წყალჯომარდობის სადგურს, თუ არ ივლიდი.

ეს იყო ხუთიოდე წლის წინათ, სამგორის ზღვა ფსკერს ძლივს ფარავდა. დაშნელს ნავები ენახა „ლოკომოტივის“ საბჭოში და აეკვიატა აზრი, რადაც უნდა დამიჯდეს, ნებით ან ძალით უნდა წავართვა რამდენიმეო. ძალა არ დასჭირებია, ისე დაუთმეს. საამქროებს დაურიგა: შელებეთ, გაალამაზეთ, ყველას თქვენ თქვენი გქონდეთო.

მერე ადგილის ამოსარჩევად წავიდნენ. იქ იყვნენ სამახალე განყოფილების პროფბიუროს წევრი ალექსანდრე არეშიძე, სამგზავრო ვაგონების საამქროს პარტბიუროს მდივანი პეტრე ვოიტჩაკი და სამჭედლო საამქროს უფროსი მიხეილ ერშოვი.

ამბარი ქარი დათარეშობდა სამგორის ველზე. პატარა ტალღები ტორტმანებდნენ მომავალ ზღვაზე. სადგურისათვის ის ადგილი აირჩიეს, სადაც მაისობები იმართებოდა. ერთ კვირა დღეს ქარხნის მთელი აქტივი გავიდა ორმოების დასათხრელად. იქ გააშენეს ბაღი, ააგეს სადგური — პირველი ნაგებობა ახალი ზღვის მიდამოებში. შემდეგ მოტორიანი ნავებიც იყიდეს, კატერიც ააგეს საკუთარი ხელით, რომელზეც 80 კაცი ეტევა.

...შინ წასვლის წინ დაშნელმა ორთქლმავალამწყობ საამქროში შეიარა. მძიმე ოპერაციის შემდეგ სიცოცხლედაბრუნებული ადამიანივით დინჯად და თანაბრად სუნთქავდა ახლად შეკეთებული ორთქლმავალი, ხამუშ-ხამუშ ქშინავდა. გიორგი მიუახლოვდა, ლოკომოტივის ნომერს დააკვირდა. წამით ჩაფიქრდა, ჩანდა რაღაცას ანგარიშობდა, თვალები გაუბრწყინდა: ხუთიდან ეს მესამე ზეგეგმითი ორთქლმავალი იყო, რომელსაც საოქტომბროდ უშვებდნენ.

ლოკომოტივი მძიმედ დაიძრა ადგილიდან და ქშენით და სტვენით დატოვა ქარხანა. დაშნელმა თვალი გააყოლა.

გზა მშვიდობისა!

ს. ხარაზიშვილი.

საბჭოთა პროფკავშირები—კომუნიზმის სკოლა

★ ★ ★

საქართველოს პროფკავშირული მოძრაობის ისტორიიდან

(ძველი ბოლშევიკის მოგონება)

საქართველოში მუშათა კლასის მასობრივ ორგანიზაციებს მდიდარი ისტორია აქვთ. ზოგიერთ ქალაქში, უმთავრესად კი თბილისში, იმთავითვე, 50 წლის წინათ, ჩამოყალიბდა პროფორგანიზაციები: მბეჭდავთა, რკინიგზელთა, ფარმაცევტთა, მეტყვევეთა, მეთამბაქოეთა და სხვ. მართალია, სტოლიპინის შავი რეაქციის პერიოდში მალე ბევრ მათგანს აუკრძალეს თავისუფალი შეკრება, დაიწყეს მათი ხელმძღვანელების დაპატიმრება-გაძევება, მაგრამ პროფკავშირებმა რევოლუციური, სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით ნახევრად თუ სავსებით არალეგალურ პირობებში არა მარტო შეძლეს თავიანთი ორგანიზაციების შენარჩუნება, არამედ გადამწყვეტ ბრძოლებში ბუდამ დარაზმული გამოდიოდნენ თავიანთი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინი ყოველთვის მოითხოვდა პროფკავშირების საშუალებით მშრომელი მასების მტკიცედ დარაზმვას, ცარიზმისა და ბურჟუაზიის დასამარცხებლად ბრძოლების გაჩაღებას. მეშვეიკები და ესერები სასტიკად წინააღმდეგი იყვნენ ასეთი ტაქტიკისა, რითაც ეხმარებოდნენ პროლეტარიატის კლასობრივ მტრებს.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ქ. კიევში მომისწრო. იქ პროფკავშირების დიდი ნაწილი იატაკქვეშ მძიმე პირობებში მუშაობდა. ასეთი მდგომარეობა იყო საქართველოშიც. 1917 წლის მარტში კავკასიის სამხარეო პარტიულმა კომიტეტმა კიევიდან დეპეშით გამოგვიძახა ყველა კავკასიელი ბოლშევიკი. პარტიის განკარგულებით მეც თბილისში გამოვეშურე.

1917 წლის მარტის მეორე ნახევრიდან ივლისის ბოლომდე ვმუშაობდი ქუთაისის პარტორგანიზაციაში, ავრეთვე ტყიბულელ მაღაროელთა შორის როგორც პარტიული, ისე პროფკავშირული ხაზით. იმ დროს ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში ითვლებოდა 2.000-მდე მუშა-მოსამსახურე, რომელთაც რიგი პროფესიული ორგანიზაცია არ გააჩნდათ.

ქუთაისელი მეშვეიკების მეთაურებს, რომელთა ხელში ფაქტიურად იყო ძალაუფლება, ტყიბულში „კომისარად" დაენიშნათ ვინმე გუმბერიძე, მის მოადგილედ კი ფედერალისტი თავადი ნიკორაძე. მათ ჰყავდათ ერთი საქმის მწარმოებელი-მოანგარიშე, ორი ჩაფარი და ერთი დამლაგებელი (სანტარი). ეს იყო მთელი მენშევიკური „ორგანიზაცია", რომელსაც ევალებოდა „წესრიგის დაცვა" და მაღაროელთათვის „ყურადღების მიქცევა". სინამდვილეში ეს იყო მენშევიკების საბოქაულო სამმართველო ამ საკმარისად დიდ სამთამადნო მრეწველობის რაიონში, რომელიც საშინელ ექსპლოატაციას განიცდიდა უცხოეთის კაპიტალის მიერ. მოწინავე მუშების დახმარებით მოკლე ხანში შევძელით ორი პოლიტიკური წრის ჩამოყალიბება. შემდგომში ეს წრეები ადგილობრივი პარტორგანიზაციის საფუძველი გახდნენ. ამავე ამხანაგების ენერგიული მუშაობით მოვაწყეთ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, სადაც პროფკავშირების შესახებ მოხსენების შემდეგ ავირჩიეთ პროფრწმენებულები, ხოლო რწმენებულთა კრებამ — ტყიბულის ქვანახშირის მაღაროელთა პროფესიული კომიტეტი.

ახალმა კომიტეტმა უწინარეს ყოვლისა მიზანშეწონილად ცნო მაღაროელთა ეკონომიურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის დაწყება. ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში იმ დროს მუშა-მოსამსახურეები საშინლად მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. კომიტეტმა მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება საერთო გაფიცვის გამოცხადების შესახებ, თუ ბურჟუაზია არ დაკმაყოფილდა მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებებს.

მენშევიკებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მუშების ამ გადაწყვეტილებას. „ნუ აჰყოლიხართ ანარქისტ ბოლშევიკებს. ისინი სიკეთეს არ დაგიყრიანო", — ასე განაცხადა კრებაზე მენშევიკების ერთ-ერთმა მეთაურმა გ. ყურატაძემ, რომელიც მუშებმა ტრიბუნიდან ჩამოაგდეს. მენშევიკების მხრივ სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად ივლისის გაფიცვა ტყიბულში წარმატებით დამთავრდა.

მენშევიკებმა ქუთაისიდან სპეციალურად გამოგზავნეს კომისია, რომელმაც „გამოარკვია" ჩემი მუშაობა, უწოდა მას „ძირგამომთხრელი, ბოლშევიკური, ანარქისტული საქმიანობა" და სასტიკად ამიკრძალა ტყიბულში მუშაობა. ქუთაისში ცოტა ხნის მუშაობის შემდეგ პარტიამ ისევ თბილისში გადმომიყვანა. აქ 1917-1918 წლებში ვმუშაობდი პარტიული გაზეთების „კავკაზსკი რაბოჩისა" და „ბრძოლის" რედაქციებში, იმავე დროს ვმუშაობდი მეტყვევეთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის მდივნად. ეს პროფორგანიზაცია ერთ-ერთ მოწინავე რევოლუციურ კავშირად ითვლებოდა. მენშევიკები მას „ბოლშევიკურ კავშირს", უწოდებდნენ. ეს მართლაც ასე იყო. მის გამგეობაში თითქმის ყველა ბოლშევიკი იყო. წარმატებით ჩავატარეთ გაფიცვები აღელხანოვის ტყავის ქარხანაში, ჩობინოვის, ზახაროვისა და სხვათა სანელსაღებოებში.

პარტიის გადაწყვეტილებით ალექსანდრეს ბაღში (ახლა 26 კომუნარის სახელობის ბაღი) 1918 წლის 10 თებერვალს დანიშნული იყო მიტინგი. მეტყვევეთა კავშირმა არა მარტო თავისი წევრები მოიყვანა მიტინგზე უკლებლივ, არამედ სხვა კავშირის წევრებიც მრავალი გაიყოლია. მიტინგი განკუთვნილი იყო იმისათვის, რომ პროტესტი განგვეცხადებინა მენშევიკების მიერ ბოლშევიკური გაზეთების „კავკაზსკი რაბოჩის", „ბრძოლისა" და „ბანვორი კრივის" დარბევის გამო და დემონსტრაცია მოგვეხდინა ამიერკავკასიის სეიმის წინააღმდეგ. იმ დღეს ამ სეიმს ამიერკავკასიის მთავრობა უნდა აერჩია. სეიმი შედგებოდა მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატისტების წარმომადგენლებისაგან, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ ამიერკავკასიის გამოყოფა საბჭოთა რუსეთისაგან. როგორც ცნობილია, მშვიდი, უიარაღო და ხალხმრავალი მიტინგი მენშევიკებმა ვერაგულად დახვრიტეს. მიტინგის დახვრეტის შემდეგ პარტია იძულებული გახდა ისევ იატაკქვეშ გადასულიყო. პროფკავშირებში მომუშავე ბოლშევიკებიც მძიმე პირობებში მოექცნენ. მდგომარეობამ გვაიძულა მოგვეწყო არალეგალური ბოლშევიკური მუშაობა პროფკავშირებში. ჩემი ინიციატივით მეტყვევეთა კავშირის გამგეობასთან შეიქმნა არალეგალური მუშათა ცენტრი, რომელშიც გარდა მეტყვევეთა კავშირის გამგეობის ბოლშევიკური შემადგენლობისა, შედიოდნენ აგრეთვე სხვა პროფკავშირების გამგეობათა ბოლშევიკი წევრებიც. ამ ორგანიზაციის საშუალებით პარტია აწყობდა კრებებს, ავრცელებდა პარტიულ ლიტერატურას, უშვებდა ფურცლებს, პროკლამაციებს და სხვ.

1918 წლის ივლისში გადარჩეულ იქნა მენშევიკური პროფსაბჭო, რომელშიც 17 ბოლშევიკის გაყვანა შეძელით, სამდივნოში გაყვანილ იქნა ბოლშევიკი — მინას მელქიანი და ამ სტრიქონების ავტორი.

როგორც ცნობილია, მენშევიკურმა და დაშნაკურმა კონტრრევოლუციურმა მთავრობებმა საზღვარზე ატეხილი სადავო საკითხის გამო ქართველ და სომეხ მომძე ხალხებს შორის სისხლისმღვრელი ომი გააჩაღეს. პარტიის მოწოდებით პროფკავშირები ერთსულოვნად დაირაზმნენ ამ საშინელების წინააღმდეგ.

მუშათა ცენტრი განაგრძობდა თავის ინტენსიურ საქმიანობას. სამწუხაროდ, დღემდე სწორად არ არის გაშუქებული ამ ორგანიზაციის ისტორია, მისი როლი საქართველოს პროფკავშირებში 1918 წლიდან 1921 წლამდე. ის თავდაჯერებულ ჩაისახა როგორც პროფკავშირების ღვიძლი შვილი და საქართველოში ბოლშევიკური პარტიის ერთგული თანამებრძოლი, რომლის მსგავსი ორგანიზაცია სხვაგან არ ყოფილა.

საქართველოს პროფკავშირული მუშათა რევოლუციური მოძრაობა, დიდი რუსი ხალხის მუშათა კლასთან ხელიხელჩაკიდებული, მის მხარდამხარ მიდიოდა პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლებში.

პროფ. გ. ედი მჟავანაძე,
სკკპ წევრი 1914 წლიდან.



მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პროფაქტივისტთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): თ. მიქელაძე, თ. ბელაშვილი, ა. კაკარაძე, გ. ჯარიაშვილი, მ. გაბედავა, ზ. მახარაშვილი, დ. პატაშური.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გამოცდილების ძალა

ჩვენი კომბინატის ფეიქართა კოლექტივი წარმატებით ასრულებს სოციალისტურ ვალდებულებებს. მან 105.2 პროცენტით გაანაღდა პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის 7 თვის დავალება. ამ წარმატებაში თავისი მცირედი წვლილი შეიქვს პირველი საქსოვი საამქროს „ბ" ცვლის მეხუთე ბრიგადას, რომლის პროფორგანიზატორიც მე ვარ.

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა პროფკავშირული მუშაობა, რეგულარულად ვმართავთ ბრიგადის კრებებს, საწარმოო თათბირებს, რომლებზეც განვიხილავთ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის, შრომის ნაყოფიერების გაზიდების, ნედლეულის ეკონომიის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, შრომისა და საწარმოო დისციპლინის საკითხებს.

როგორც წესი, პროფკავშირული ორგანიზაცია თვეში ერთხელ ბრიგადის წევრთა დასწრებით განიხილავს სოციალისტური შეჯიბრების წინა თვის შედეგებს.

მაისში საწარმოო თათბირზე ვიმსჯელეთ აქტუალურ საკითხზე. ბრიგადას გაუძღვა ახალი სახის პროდუქციის — ატლასის ქსოვის ათვისება. ფეიქართა თითქმის ნახევარი ჩამორჩებოდა საწარმოო დავალებათა განაღდებაში, ბრიგადამ მაისის გეგმა მხოლოდ 92,2 პროცენტით შეასრულა. თათბირზე პროფაქტივისტებმა წამოაყენეს წინადადება, რომ ჩვენი ფეიქრები ქსოვის ინსტრუქტორის კ. ჩომახიძის დახმარებით დეტალურად გასცნობოდნენ ატლასის ქსოვის ტექნოლოგიას პირველ ბრიგადაში, სადაც ამ ნაწარმს წლის დასაწყისიდანვე ქსოვდნენ და მუშაობის მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ. ასეც მოხდა. სიძნელე წარმატებით გადავლახეთ. თუ მაისში ბრიგადის 5 მქსოველი ვერ ასრულებდა გამომუშავების ნორმებს, ივნისში, ივლისში და ამჟამადაც ბრიგადის ყველა ფეიქარი გადამეტებით ანაღდებს დავალებებს. ბრიგადამ 105,9 პროცენტით შეასრულა 7 თვის გეგმა, მთლიანად აღმოფხვრა პროდუქციის წუნი. აი ერთი დამახასიათებელი მაგალითი. მქსოველმა თინა გელაშვილმა მაისში მხოლოდ 95 პროცენტით შეასრულა დავალება, მას შემდეგ კი, რაც დაეუფლა ატლასის ქსოვის ტექნოლოგიას, მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ივნისის დავალება 121 პროცენტით გაანაღდა, ხოლო ივლისისა — 123,8 პროცენტით. წარმატებით მუშაობს აგვისტოშიც.

ასე დაგვეხმარა მუშაობის გაუმჯობესებაში მოწინავეთა გამოცდილება.

პირადად მე ოთხ დაზგას ვემსახურები. ივლისის დავალება 115,5 პროცენტით შევასრულე. ჩემს მიერ გამომშვებული ქსოვილის 88,5 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ბრიგადა ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში მეექვსე ბრიგადის ფეიქრებთან, იკისრა 120 პროცენტით შეასრულოს წლიური დავალება და გეგმასთან შედარებით ორი პროცენტით გაადიდოს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. ახლა ვიბრძვით იმისათვის, რომ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდეთ.

ეთერ ყრუაშვილი,
ქუთაისის აბრეშუმკომბინატის პირველი საქსოვი საამქროს „ბ" ცვლის მეხუთე ბრიგადის პროფორგანიზატორი.

ციფრები და ფაქტები

პროფკავშირული საგზურებით შარშან რესპუბლიკის 33.500-მა მუშამ და მოსამსახურემ გაატარა შვებულება სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, სულ მუშა-მოსამსახურეთა დასვენებასა და მკურნალობაზე დაიხარჯა 20 მილიონ მანეთზე მეტი, წელს დაიხარჯება 30 მილიონი მანეთი და დასასვენებლად გაიგზავნება 35 ათასამდე კაცი.

* * *

რესპუბლიკის პიონერთა ბანაკებში 1956 წელს დაისვენა მუშათა და მოსამსახურეთა 31.500 ბავშვმა, ხოლო წელს დაისვენებს 33 ათასზე მეტი ბავშვი.

* * *

საქართველოში მუშაობს 1.639 პროფკავშირული კულტურის სასახლე, სახლი, კლუბი, წითელი კუთხე და 714 ბიბლიოთეკა, 2.000-მდე მხატვრული თვითმოქმედების წრე.

სვანეთის მთების სიმდიდრე — ხე-ტყე ქაღალდად, რვეულებად და კონვერტებად იქცევა ენგურის ქაღალდისა და ცელულოზის კომბინატში. იგი რესპუბლიკის დიდი სამრეწველო საწარმოა, რომლის პროდუქცია გარდა საქართველოსი, მომძე რესპუბლიკებშიც გადის. ენგურელი მექაღალდეები წარმატებით ასრულებენ საოქტომბროდ ნაკისრ ვალდებულებებს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კომბინატის ფართო მოხმარების საამქროს მემანქანე მერი ბუკია. ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 125 პროცენტისა, იგი ყოველდღიურ დავალებას 140-145 პროცენტით ანაღდებს. წარმატებით შრომასთან ერთად მერი ბუკია აქტიურ პროფკავშირულ მუშაობასაც ეწევა.

ს უ რ ა თ ზ ე: მ. ბუკია ამოწმებს მის მიერ გამოშვებული კონვერტების ხარისხს.

ფოტო შ. გოკაძისა.

მეზაღუარგთა კულტურული ცხოვრებიდან

დიდი ხნის ისტორია არა აქვს მეტალურგთა კულტურის სასახლეს. იგი ორი წლის წინათ გაიხსნა ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანასთან. ამ ხნის განმავლობაში მან ახალი სოციალისტური ქალაქის რუსთავის მშრომელთა ფართო მასებში სიყვარული და პოპულარობა მოიპოვა, მეფოლადეთა და მებრძმედეთა, მგლინავთა და მეკოქსეთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის ნამდვილ კერად იქცა.

სასახლის გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევს ლექციურ პროპაგანდას. გასული წლის ივნისიდან დღემდე წაკითხულია 168 ლექცია, რომლებსაც 16.800 მსმენელი დაესწრო. მათ შორის იყო ციკლი ლექციებისა: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა", „ეკონომიკა", „ბავშვთა აღზრდა" და სხვ. ლექტორებად ვიწვევდით კვალიფიციურ მუშაკებს პარტიის ქალაქკომის ლექტორთა ჯგუფიდან და რესპუბლიკის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებს.

სასურველ ნაყოფს იძლევა კულტურის სასახლის მიერ მოწყობილი შეხვედრები წარმოების მოწინავე ადამიანებთან, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში, აქვთ შრომის ახალი, საკუთარი მეთოდები. ხშირად იმართება ე. წ. „შრომითი დიდების საღამოები".

დიდი ყურადღება ექცევა თვალსაჩინო აგიტაციას. დამზადებული გვაქვს მხატვრულად გაფორმებული ლამაზი სტენდები საუკეთესო რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებზე, სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე, ქარხანაში საწარმოო გეგმების შესრულებაზე.

ჩვენს ბიბლიოთეკაში 22.000 პოლიტიკური, ტექნიკური და მხატვრული წიგნია, რომლებითაც ქარხნისა და ქალაქის 3.215 მკითხველი სარგებლობს. ბიბლიოთეკის მუშაკებმა საამქროებისა და საერთო საცხოვრებლების წითელ კუთხეებთან 12 მოძრავი ბიბლიოთეკა მოაწყეს.

მეტალურგები დიდი ინტერესით მონაწილეობენ მხატვრულ თვითმოქმედებაში. კულტურის სასახლესთან არსებობს მხატვრული თვითმოქმედების 19 წრე, რომლებიც 750 კაცს აერთიანებს. შექმნილია ქართული და რუსული თეატრალური და ქორეოგრაფიული კოლექტივები, ბავშვთა საბალეტო ჯგუფი, ქართული სიმღერების გუნდი, საესტრადო ორკესტრი, ლიტერატურული, ფოტო, ხელსაქმისა და ჭრა-კერვის წრეები.

მხატვრული თვითმოქმედების მონაწილენი გამოდიან როგორც კულტურის სასახლის სცენაზე, ისე საამქროებისა და საერთო საცხოვრებლების წითელ კუთხეებში. წარმოდგენებსა და კონცერტებს მართავენ აგრეთვე საშეფო კოლმეურნეობაში. აღსანიშნავია, რომ ერთი წლის განმავლობაში ჩვენი ძალებით 86-ჯერ მოეწყო წარმოდგენები და კონცერტები, რასაც 25.000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

ქართულმა თეატრალურმა კოლექტივმა მაყურებლებს უჩვენა „ნეკერჩხალი გოჩა" (დადგმა ს. ქავთარაშვილისა), „ვინ არის დანშავე" (დადგმა ა. ელესაშვილისა) და რამდენიმე თითოოქტიანი პიესა. მეტალურგებმა განსაკუთრებით თბილად მიიღეს სპექტაკლი „ნეკერჩხალი გოჩა". როლებს ასრულებდნენ ქარხნის ბუხჰალტერი მახარაძე (ძიძია), ტექნიკური მომარაგების განყოფილების მუშაკი ბარელაძე (გოჩა), ლაბორატორიის ინჟინერი აბუაშვილი (გელა) და სხვები.

სამი სპექტაკლით წარსდგა მაყურებელთა წინაშე რუსული თეატრალური დასი. იგი ახლა ამზადებს გრიგორიევის „რუსი მსახიობის ქალიშვილს" და ჟანპოლ სარტრის „ლაზი მაკკეის".

ხშირად ვმართავთ თემატიკურ საღამოებს, ე. წ. ზეპირ ჟურნალებს, სპორტულ გამოსვლებს, ახალგაზრდულ ოთხშაბათობებს.

მხატვრული თვითმოქმედების ჩვენმა კოლექტივებმა წარმატებით მიიღეს მონაწილეობა ახალგაზრდობის საქარხნო, საქალაქო და რესპუბლიკურ ფესტივალებში.

სასახლე პერიოდულად იწვევდა თავის სცენაზე როგორც თბილისის თითქმის ყველა თეატრს, საკონცერტო ბრიგადას, ფილარმონიის მსახიობებს, ისე მოსკოვის, ერევნის, ქუთაისისა და გორის თეატრების დასებს, რომლებიც გასტროლებზე იმყოფებოდნენ რესპუბლიკის დედაქალაქში.

მიმდინარე წლის თებერვალში გაიხსნა კულტურის სასახლის ორდარბაზიანი კინოთეატრი „მეტალურგი". ეს უდავოდ, მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

ამჟამად ჩვენი ყველა თვითმოქმედი წრე აქტიურად ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სრულიად საკავშირო დათვალიერებისათვის, რომელშიც მონაწილეობენ პროფკავშირული კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები, ბიბლიოთეკები და წითელი კუთხეები, და, ვფიქრობთ, წარმატებასაც მოვიპოვებთ.

გ. ტაბიძე,
ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კულტურის სასახლის გამგეობის თავმჯდომარე.

პროფესიული კავშირების სახელოვანი 50 წლისთავი

მ. ლელაშვილი,
საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოთა კავშირის მშრომელები — მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები, მილიონობით საბჭოთა პატრიოტები წელს აგვისტოში აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ თარიღს — მშრომელთა ყველაზე მასობრივი ორგანიზაციის — საბჭოთა პროფესიული კავშირების 50 წლისთავს.

დიდი სიხარულითა და ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ მრეწველობის, ტრანსპორტის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო და ტექნიკური ორგანიზაციების, მშენებლობების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების მუშები, მოსამსახურეები, ყოველი მშრომელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებას პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსადმი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ სსრ კავშირის პროფესიული კავშირების ლენინის ორდენით დაჯილდოებას.

„კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსადმი, —პროფკავშირები გადაიქცნენ მძლავრ ძალად, რომელიც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ჩვენი ხალხის საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე".

მთელი თავიანთი ისტორიის ყველა ეტაპზე პროფკავშირული ორგანიზაციები მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებდნენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რაზმავდნენ მუშათა კლასს მისი ავანგარდის—კომუნისტური პარტიის გარშემო.

კომუნისტური პარტიისადმი პროფკავშირული მასების ერთგულების, ლენინიზმის დროშის გარშემო პროფკავშირების მონოლითური დარაზმულობის, პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული დიადი ამოცანების შესასრულებლად მზადყოფნის სულისკვეთების ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო ამ რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში შემდგარი პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს საზეიმო პლენუმი. ერთხმად მიღებულ მისალმებაში, რომლითაც პლენუმმა მიმართა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ნათქვამია, რომ საბჭოთა პროფკავშირები ყოველთვის იყვნენ, არიან და მუდამ იქნებიან კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ერთგული განმხორციელებლები, მისი ურყევი დასაყრდენი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

* * *

ცნობილია, რომ დასავლეთის ქვეყნებში XIX საუკუნეში პროფკავშირების ჩამოყალიბებისას დიდმა მოაზროვნემ კარლ მარქსმა აღნიშნა, პროფკავშირები კლასობრივი ბრძოლის სკოლას წარმოადგენენ, პროლეტარიატის ძალების დამრაზმავ ორგანიზაციას, პროლეტარული სოლიდარობის სკოლას წარმოადგენენო.

XIX საუკუნის დასასრულს და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა დასავლეთიდან გადმოინაცვლა აღმოსავლეთში, რუსეთში, რომელიც გადაქცეული იყო იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა საკვანძო ადგილად, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის, მუშათა მოძრაობის სასტიკი დევნის ქვეყნად. ამას არ შეეძლებოდა არ გამოეწვია მუშათა კლასის მხრივ მძლავრი წინააღმდეგობა და სასტიკი ბრძოლა, და, მართლაც, იფეთქა რუსეთის 1905 წლის პირველმა რევოლუციამ, რამაც დააჩქარა პროფესიული კავშირების ჩამოყალიბება.

რევოლუციის ქარცეცხლში ნაშობი პროფესიული კავშირების შექმნამ გამოიწვია მუშათა მოძრაობის გაძლიერება. 1907 წელს პროფკავშირულ ორგანიზაციებში უკვე მეოთხედ მილიონამდე მშრომელი იყო გაერთიანებული. ამ რევოლუციის პერიოდში მუშათა კლასმა განვლო პოლიტიკური აღზრდის დიდი სკოლა, გამოიწრთო ბრძოლებში, შეიგნო თავისი საერთოკლასობრივი ინტერესები და გაერთიანების აუცილებლობა.

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ მეფის მთავრობამ მთელი თავისი ჟანდარმული სისასტიკით შეუტია მუშათა ორგანიზაციებს, დახურა პროფკავშირები, მოახდინა მათი ქონების კონფისკაცია, დაეპატიმრა და შორეულ ადგილებში გადაასახლა პროფკავშირული მოღვაწეები.

1917 წლის ივნისში თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდა პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭო. იმ ხანებში პროფკავშირთა რიგებში უკვე მილიონ-ნახევარზე მეტი წევრი ირიცხებოდა.

* * *

საქართველოში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, პროფკავშირული ორგანიზაციები შეიქმნენ იმავე 1905-1907 წლების სახალხო რევოლუციის პერიოდში. აქაც პროფკავშირული ორგანიზაციების ბრძოლა ხასიათდებოდა მწვავე პოლიტიკური ბრძოლებით ბოლშევიკებსა და მეშენევიკებს შორის. ამ ბრძოლაში საქართველოს ბოლშევიკებს ხელმძღვანელობდნენ ისეთი გამოჩენილი რევოლუციონერები, როგორიც იყვნენ სტალინი, ცხაკაია, მახარაძე, შაუმიანი, სპანდარიანი და სხვ.

დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას საქართველოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით და სიხარულით შეხვდნენ. ყველგან — ფაბრიკებში, ქარხნებში, სხვადასხვა საწარმოებში მშრომელებს გამოჰქონდათ რეზოლუციები და მხურვალე მისალმებას უგზავნიდნენ ახლადშექმნილ საბჭოთა მთავრობას.

„—პეტროგრადში სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის მიერ შექმნილი მთავრობა, — წერდნენ თავიანთ რეზოლუციაში თბილისის არსენალის მუშები, — მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების მთავრობაა და მის დასაცავად, ვფიცავთ, აღვიმართოთ რკინის კედლად ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის და მისი დაჭირავებული მსახურების წინააღმდეგ"...

მიუხედავად მასების რევოლუციური სულისკვეთებით განწყობილებისა, მენშევიკებმა მაინც შეძლეს საქართველოში ხელისუფლების სათავეში მოქცევა, და დაიწყო მუშათა კლასის სასტიკი დევნა, ტერორი რევოლუციურად განწყობილი მუშების წინააღმდეგ. მენშევიკებმა რევოლუციურ პროფკავშირულ ორგანიზაციებს აუტანელი რეჟიმი შეუქმნეს, იმ პროფკავშირებს კი, რომლებიც მთავრობის პოლიტიკას უჭერდნენ მხარს, ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ. მენშევიკური კანონმდებლობა მიმართული იყო მეწარმეთა ინტერესების დასაცავად მუშათა ინტერესების საწინააღმდეგოდ. მენშევიკების მთავრობა იქამდე მივიდა, რომ გამოსცა კანონი, რომლითაც აკრძალული იყო გაფიცვების გამოცხადება რკინიგზებზე და სხვა საწარმოებში.

იმ დროს საქართველოს მშრომელთა მდგომარეობის დახასიათებისათვის საუკეთესო წარმოდგენას იძლევა მენშევიკური შრომის სამინისტროს ოფიციალური მოხსენება მთავრობისადმი. იგი დაწერილია 1919 წლის ნოემბერში და შეიცავს შემდეგ ადგილს:

„...შრომის ხელფასი ამ ხნის განმავლობაში (ე. ი. 1917 წლიდან 1919 წლის ბოლომდე) გაიზარდა 22-ჯერ, ხოლო პირველი საჭიროების პროდუქტების ფასები გადიდდა 75-ჯერ. მუშათა კლასი ახლა ჩვენში ცხოვრობს სამნახევარჯერ უფრო ცუდად, ვიდრე 1914 წელს ცხოვრობდა... მუშები მატერიალური მდგომარეობის იმ ზომამდე მივიდნენ, რომ უკვე წარმოუდგენელია შემდგომში მათი ფიზიკური არსებობა... ქალაქის მთელმა მოსახლეობამ, მუშებს გარდა, სპეკულაციას მოჰკიდა ხელი. ამას მოწმობს მედუქნეებისა და ჩარჩების სიმრავლე... მუშები უპუროდ და უფეხსაცმლოდ არიან. უკვე დიდი ხანია არსად აღარ იცავენ რვასაათიან სამუშაო დღეს. მუშები თანახმა არიან იმუშაონ 16 საათიც კი, ოღონდ იმდენი გამოიმუშაონ, რომ საცხოვრებლად ეყოთ, მაგრამ ტრაგედია ის არის, რომ სამუშაო არა აქვთ. მრეწველობა დაეცა. რაც კი დარჩა მრეწველობიდან, მათი პატრონები ცდილობენ თავიანთი კაპიტალი სასპეკულაციოდ გამოიყენონ...

მუშები ხსნას ვერსად პოულობენ და იოუპებიან"...

კომენტარები, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

ყოველივე ეს მშრომელებში იწვევდა დიდ უკმაყოფილებას, აძლიერებდა მასების რევოლუციურ განწყობილებას, რასაც შედეგად მოჰყვა მენშევიკური მთავრობის დამხობა.

* * *

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წითელი დროშა აფრიალდა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. თავისუფალი ცხოვრების დამყარებისთანავე ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა 20 დიდი პროფკავშირი, შეიქმნა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები და მოწვეულ იქნა საქართველოს პროფკავშირების პირველი კონფერენცია, რომელიც 1921 წლის ივნისში შედგა.

ამ კონფერენციის მონაწილეებმა თავიანთი მისალმების პირველი სიტყვით მიმართეს რევოლუციის გენიას, დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს. ამ მისალმებაში საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები ლენინს სწერდნენ:

„დიდი ხნისა და მძიმე ბრძოლის, მენშევიკების მიერ მუშებისა და მშრომელი გლეხობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში აბუჩად აგდების შემდეგ, ბოლოს, საქართველოს პროლეტარიატს წინასწარი ორგანიზაციული მუშაობის გაწევის შედეგად საშუალება აქვს შეგროვდეს პროფკავშირთა პირველ თავისუფალ კონფერენციაზე. ამით ჩვენ დიდად დავალებული ვართ თქვენგან, როგორც საერთაშორისო რევოლუციის ბელადისაგან. ვიწყებთ რა საწარმოო პროფესიული კავშირების წინაშე მდგომი ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებას, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენგან შორს მყოფი, მაგრამ სულიერად ჩვენთვის მახლობელი დიდი მასწავლებლის, მსოფლიო რევოლუციის წინამძღოლის, თქვენი, ამხ. ლენინ, ხელმძღვანელობით, საქართველოს პროლეტარიატი, გამოიყენებს რა თქვენს ცოდნას, რჩევასა და გამოცდილებას, მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებთან კავშირში, მტკიცედ წავა წინ საბოლოო მიზნისაკენ — სოციალიზმისაკენ. მოგესალმებით რა საქართველოს ორგანიზებული მუშების სახელით, გამოვთქვამთ რწმენას, რომ მომავალშიც არ მოგვაკლებთ თქვენ ბრძნულ ხელმძღვანელობას". (ცენტრალური საარქივო ფონდი, № 819).

ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით

გუნიბელთა წარჩინებული მეცხოველეებს

გუნიბი, დუშეთი...

მართალია ეს ორი რაიონი ერთმანეთს მრავალი მთითა და მდინარით არის დაშორებული, მაგრამ მეგობრობის, კეთილშობილურმა გრძნობამ მანძილი არ იცის. ისევე როგორც დღისტნის მთებში, არაგვის თვალწარმტაც ხეობაშიც კოლმეურნეები თავდადებულად შრომობენ, რათა მიაღწიონ საერთო წარმატებას იმ დიდი ამოცანების შესრულებაში, რომლებიც სოფლის მეურნეობის მუშაკებს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დაუსახეს.

სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც სამი წლის წინათ ამ ორ რაიონს შორის გაჩაღდა, გადაიქცა ხალხთა მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად. შეჯიბრება ხელს უწყობს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეს.

იბრძვიან რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, გუნიბელი და დუშელი კოლმეურნეები, მექანიზატორები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები გათკეცებული ენერგიით მუშაობენ, რათა წელსვე მიაღწიონ ხორცის, რძის, კარაქის, მატყლის და სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებას.

ამ დღეებში დუშეთის რაიონის შრომელებმა მიიღეს გუნიბის რაიონული პარტიული აქტივის მონაწილეთა წერილი. დაღისტნელი მეგობრები იტყობინებიან მომდინარე სამეურნეო წელს მიღწეულ წარმატებათა შესახებ.

— ძვირფასო მეგობრებო, — წერენ ისინი, — ჩვენ უკვე შევაჯამეთ ნახევარ წლის შედეგები. ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის განვითარების 6 თვის გეგმა შეასრულეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 113 პროცენტით, ცხვრისა — 129,8 პროცენტით.

სამეურნეო წლის პირველ ნახევარში თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 708 კილოგრამი რძე, წლიური დავალება კი 1.260 კილოგრამს ითვალისწინებს.

რძის წარმოებაში დაწინაურდა ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც თვითეულ ძროხაზე — 1.228 კილოგრამი რძე მიიღეს, ჭოხელებს არც სუღრატლის კოლმეურნეობის მწველავები ჩამორჩებიან.

ცალკეულმა მწველავებმა — შ. ახმედოვამ, ა. ალიევამ, მ. გორლოვამ (ჭოხი), ა. იბრაგიმოვამ (სუღრატლი) და სხვებმა 1957 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღეს 1.300 კილოგრამი რძე.

შემდეგ, წერილში მოთხრობილია იმ წარმატებაზე, რასაც გუნიბელმა მეცხვარეებმა მატყლის წარმოებაში მიაღწიეს.

— რაიონში გაზაფხულზე თვითეულ ცხვარზე მიღებულია 2,9 კილოგრამი მატყლი, წლიური გეგმა კი 3 კილოგრამია. სოფელ ბუხტის კოლმეურნეობაში თვითეულ ცხვარს გაზაფხულზე 3,7 კილოგრამი მატყლი გაპარსეს. ასეთივე წარმატებები აქვთ ჭოხის, სუღრატლის, ტელმანის და ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობებს.

ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ბრიგადამ, რომელსაც აბდულაევი ხელმძღვანელობს, ყოველ 100 დედაცხვარზე 121 ბატკანი შეინარჩუნა და თვითეულ ცხვარზე 4,6 კილოგრამი მატყლი მიიღო. მწყემსმა იაკუბოვმა, რომელიც თქვენი რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის უფროს მწყემსს წ. ნაზღაიძეს ეჯიბრება, უზრუნველყო თავისი ფარის თვითეული ცხვრისაგან 5 კილოგრამი მატყლის მიღება და ყოველ 100 დედაცხვარზე 115 ბატკნის შენარჩუნება. სოფელ ბუხტის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში (ბრიგადირი რ. ამურალოვი) ყოველ 100 დედაცხვარზე შენარჩუნებულია 120 ბატკანი, თვითეულ ცხვარზე მატყლის გამოსავლიანობა 4 კილოგრამს შეადგენს.

ამჟამად გუნიბის რაიონის კოლმეურნეობები ძირითად ყურადღებას უთმობენ პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებას და საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.

ასრულებენ რა თავიანთ ვალდებულებებს, გუნიბის რაიონის მშრომელებმა ვადამდე — მიმდინარე წლის 28 ივნისამდე 196 პროცენტით გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისა და შესყიდვის გეგმა. რძის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით, ხოლო მატყლის დამზადების წლიური გეგმა — 119 პროცენტით.

გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს ჩაბარდა ხორცი 247 ტონით, მატყლი — 106, რძე 83 ტონით მეტი.

გუნიბელთა წერილში, რომელიც დაღისტნელ მშრომელთა წარმატებებს და მაღალ პოლიტიკურ აქტივობას გამოხატავს, ლაპარაკია იმ ნაკლოვანებებზეც, რომლებიც ჯერ კიდევ არის საზოგადოებრივი მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის საქმეში. წერილში ნათქვამია:

ამიტომ ჩვენ ვეძებთ ახალ რეზერვებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად. კოლმეურნეთა ძალები ახლა მიმართულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული იმ ისტორიული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისაკენ, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

უფრო მეტი გულითადობით განვაგრძობთ თქვენთან მეგობრობას.

გუნიბელთა წერილს ფართოდ განიხილავენ დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებში. წერილის ტექსტი გამოაქვეყნა რაიონულმა გაზეთმა. მალე დუშელები თავიანთ დაღისტნელ მეგობრებს სპასუხო წერილს გაუგზავნიან.

ა. თოდაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

წითელწყაროს სარაიონთაშორისო ვეტერინარული გაქტერიოლოგიური ლაბორატორია

წითელწყაროს რაიონში მეცხოველეობის ვეტერინარული მომსახურებისათვის დიდი ხანია შექმნილია სარაიონთაშორისო ვეტერინარული ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია. დღემდე ლაბორატორია მოთავსებული იყო რაიონული ვეტსამკურნალოს შენობაში მცირე ფართობზე და აქაურ მუშაკებს შეზღუდულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ამ დღეებში ლაბორატორია გადავიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სპეციალურად აშენებულ შენობებში, სადაც მოწყობილია ბაქტერიოლოგიური და სეროლოგიური განყოფილებები დაავადებათა დიაგნოსტირებისათვის თანამედროვე ზუსტი ტექნიკით. აქვე ეწყობა ტოქსიკოლოგიური განყოფილება ცხოველთა მოწამვლის შემთხვევების გამოსაკვლევად და სათანადო დახმარების გასაწევად.

ლაბორატორიას აქვს სპეციალური ავტომანქანა „დუკი“ მეცხოველეობის ფერმებში დაავადებათა საწინააღმდეგოდ დეზინფექციის ჩასატარებლად. ეს ავტომანქანა თავისი ვეტსპეციალისტებით დიდ დახმარებას უწევს რაიონის კოლმეურნეობებს ცხოველთა ავადმყოფობასთან ბრძოლაში. ლაბორატორიას დაავადებათა ზუსტი დადგენისათვის აქვს აგრეთვე ვივარიუმი საცდელი ცხოველებისათვის (ცურდღლები, ზღვის გოჭები, თეთრი თაგვები და სხვ.). აქვე მოწყობილია სპეციალური კლორატორები და ლუშების დასაწვავი ღუმელი გამოკვლევაზე შემოსული მასალებისა და ნარეცხი წყლების შემდგომი გაუვნებლებისათვის.

ლაბორატორიის ტერიტორიაზე მომსახურე პერსონალისათვის აშენებულია ცალკე საცხოვრებელი ოთხბინიანი შენობა.

წითელწყაროს სარაიონთაშორისო ვეტერინარულ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია (გამგე ი. ქებაძე) ვეტერინარულ მომსახურებას უწევს არა მარტო წითელწყაროს რაიონის, არამედ დუშეთის, თიანეთის, ახმეტის, ყვარლის, თელავის, კაჩრეთის, გარეუბნის და სხვა რაიონების მეცხოველეობის ფერმებსაც, რომლებიც აქ გამოზამთრებაზე იმყოფებიან.

სურათებზე: ზემოთ — ვეტექიმი მ. სამხარაძე (მარცხნივ) და ლაბორანტი რ. ჯორკოშვილი აწარმოებენ ცდებს ცხოველის დასნებოვნებაზე. ქვემოთ — ლაბორატორიის გამგე ვეტექიმი ი. ქებაძე აწარმოებს გემატოლოგიურ გამოკვლევას.

ფოტო შ. გოჩაძისა.

ფელეტონი

გიუროკრატიული კონვეიერი

საქმე დაიწყო იმით, რომ ქუთაისში, ურიცკის ქუჩის მეორე შესახვევის № 22 სახლში მცხოვრებმა პავლე დალაქიშვილის ოჯახმა გადწყვიტა გაფართოებულიყო... კარის მეზობლების ხარჯზე.

ვინაიდან ადამიანთა საზოგადოებამ და მეცნიერებამ, კერძოდ, გეოგრაფიამ, ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი მხარე იცის, მეტი რა გზა იყო, პ. დალაქიშვილის ოჯახიც ოთხ მხარეზე შეუდგა თავისი ბინის გაფართოებას.

ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ეს საკითხი ნებით თუ უნებლიეთ მოგვარდა. ჯერი მიდგა დასავლეთისა და სამხრეთის „ფრონტებზე“. პირველი დარტყმა ანდრო დალაქიშვილის ბინამ იგემა — აივნის გაყოლებით სასაზღვრო კედელი გადაწეულ იქნა, უფრო გვიან მეორე დარტყმა ანა დალაქიშვილის ბინამ განიცადა — პროექტის დარღვევით ანას ოთახის გასწვრივ ჯერ კედელი მიაშენეს, ხოლო შემდეგ ღია აივანი. ამგვარად დაბნელდა ანდროს და ანას საცხოვრებელი ოთახები.

და 1949 წლის მიწურულიდან დაიწყო შფოთითა და მწვავე კონფლიქტებით აღსავსე ეს საქმე.

უმჯობესია ვალაპარაკოთ დოკუმენტები.

1950 წ. 7 თებერვალი. ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგის ტ. გრძელიძის ხელმოწერით მილიციის მეორე განყოფილების უფროსს და მოქ. ანდრო დალაქიშვილს ეგზავნება მიმართვა (№ 9275):

„გაცნობებთ რომ მცხ. ურიცკის ქ. მე-2 შესახ. № 22-ში მოქ. პავლე დალაქიშვილს ყოველგვარი ნებართვის გარეშე მოქ. ანდრია დალაქიშვილთან საზიარო აივანში აუშენებია აგურის კედელი, რამაც გამოიწვია ანდრია დალაქიშვილის ოთახის დაბნელება. მიუხედავათ იმისა რომ მოქ. პავლე დალაქიშვილი გაფრთხილებული იყო დაერღვია კედელი, დღემდე მის მიერ შესრულებული არ არის.

ზემოაღნიშნულისა გამო გთხოვთ აიძულოთ მოქ. პავლე დალაქიშვილი დაარღვიოს უნებართოთ გაკეთებული კედელი. შესრულება აცნობეთ განყოფილებას“. (სტილი აქაც და ქვემოთაც დაცულია).

გადის 3 დღე...

1950 წ. 10 თებერვალი. მოქ. ბ. დალაქიშვილის ვაჟი გიორგი (ჟორა) დალაქიშვილი მილიციის მეორე განყოფილებაში დებს ხელწერილს:

„...ვალდებული ვარ... საზიარო აივანზე ჩემს მიერ მიშენებული კედელი დავარღვიო დღეის რიცხვიდან 1/IV-დე“.

მაშასადამე, არის განკარგულება, არის ხელწერილიც უნებართვოდ მიშენებული კედლის დარღვევაზე.

მაგრამ!!!..

მოვლენები ელვისებური სისწრაფით ვითარდება.

გადის კიდევ 24 საათი, ზუსტად ერთი დღეღამე...

1950 წ. 11 თებერვალი. იგივე ტ. გრძელიძე იმავე მილიციის განყოფილების უფროსს, იმავე ანდრო დალაქიშვილს იმავე ნომრით (№ 9275) უგზავნის მიმართვას:

„გაცნობებთ, რომ... მოქ. პავლე დალაქიშვილს აგებული აქვს აგურის კედელი თანახმად... პროექტისა, რის გამო ჩვენი მოწერილობები მოქ. პავლე დალაქიშვილის მიერ აგებული აგურის კედლის დარღვევის შესახებ ჩათვალოთ გაუქმებულათ“.

ნუ გაიკვირვებთ!

ისტორიამ იცის ფაქტები, როცა იშლებოდა ზღვარი უკიდურესობათა შორის, როცა ზოგიერთ ადამიანში მისივე საკუთარი აზრები და მოქმედება ერთმანეთს ეჯახებოდნენ.

ასე იყო ამჯერადაც.

განაწყენებმა ანდრო დალაქიშვილმა თავისი ბინა მოქ. ნიკოლოზ ცუცქირიძეს მიჰყიდა.

გათამამებულმა პავლე დალაქიშვილის ოჯახის წევრებმა არა თუ უნებართვოდ მიშენებული კედელი დაარღვიეს, უბოდიშოდ ეკვეთნენ ახალ მეზობელს და ამ მრავალხსენებულ კედელში ამოშენებული კარები გადააადგილეს, შიგ აივანში ამოაშენეს.

ფოთმინებიდან გამოსული ნ. ცუცქირიძე ჯერ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზას დაადგა. მაგრამ, დალაქიშვილებისაგან ლანძღვა-გინების და მუქარის მეტი რომ ვერაფერი მიიღო, „დაჯდა წერად საჩივრისა“.

მოქ. ნ. ცუცქირიძემ დაწყებული 1951 წლიდან რამდენჯერმე მიმართა: სასამართლო-პროკურატურას, ქალაქის საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას, ტექაღრიცხვის ბიუროს...

ზოგ ინსტანციაში ცუცქირიძის თხოვნას არ იწყნარებდნენ, ზოგნი კი მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ ზომების მიღებას, თავგასული მეზობლის ალაგმვას.

მაგრამ თავისი გადწყვეტილება არავის არ მოჰყავდა სისრულეში.

ერთი სიტყვით, ქალაღდების კონვეიერი სრული დატვირთვით მუშაობდა, თუმცა საქმე ადგილიდან არ იძვროდა.

ამასობაში ორგზის გათამამებული ძმები დალაქიშვილები ანა დალაქიშვილის შეეიწროებას შეუდგნენ.

და აი, პენსიონერი მასწავლებელიც „დაჯდა წერად საჩივრისა“.

1953 წ. 10 იანვარი. მილიციის მეორე განყოფილების უფროსი ანა დალაქიშვილს შემდეგს აცნობებს:

„თანახმად თქვენი განცხადებისა საფუძველზე გამოძახებულ იქნა ჩვენს მიერ მოქალაქე დალაქიშვილი ჟორა პავლეს-ძე, რომელსაც ჩამოერთვა ხელწერილი რომ დროულათ აიღონ წყლის კრანი და სახლის საწვიმარი ჟოლოპი, ვინაიდან თქვენი სახლის პადვალს აყენებს ზიანს“.

1953 წ. 21 მარტი. კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე დ. ნიკურაძე იუწყება, რომ ჟორა დალაქიშვილის მიერ დადებული ხელწერილი დღემდე არ არის სისრულეში მოყვანილი.

მაგრამ საქმე ონკანზე როდი ჩერდება. ჟ. დალაქიშვილმა პროექტიდან საკმაოდ დიდი გადახვევით მოქ. ა. დალაქიშვილის ბინის კედელზე მიაშენა ღია ცემენტის აივანი.

ანა დალაქიშვილი კვლავ კომუნალური მეურნეობის განყოფილებას მიმართავს...

1957 წ. 18 იანვარი. კომუნალური განყოფილების მთავარი ინჟინერი ვ. ბაქრაძე ანა დალაქიშვილს აცნობებს, რომ

„...მოქ. ე. დალაქიშვილმა კიბის უჯრედისათვის განკუთვნილი სიგანე 90 სმ. გამოიყენა ღია აივნისათვის და ღია აივანი გაკეთა 1,70 მეტრი მთელი მისი ბინის სიგრძეზე, რაც... გადახვევაა პროექტიდან“... და სხვ. და სხვ.

მთელი იმ ცხრა წლის მანძილზე, რაც ეს დავა ატყდა, ამ უკვე ცნობილ სახლში გუნდგუნდად მოდიოდნენ კომისიები, თუ ვიანგარიშებთ, რომ ასეთი კომისია სულ მცირე 15-ძდე მაინც იყო და რომ თვითეულ კომისიაში სულ მცირე 3 კაცი მაინც შედიოდა, ამასთან თვითეული მუშაკი 3-5 დღე მაინც მოწყდა ძირითად სამუშაოს, ადვილი გასაგები იქნება, თუ რა დაჯდა და ჯდება დღემდე ქალაღდების კონვეიერის მოქმედება, უფრო ზუსტად — მუშაობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდი.

როგორც იქნა კონვეიერმა 1957 წლის ივნისამდე მოგვიყვანა.

1957 წ. 24 ივნისი. ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ თავგასულ კარის მეზობელს წინადადება მისცა მიმდინარე წლის 25 ივლისამდე ამოაშენოს საერთო სარგებლობის აივანში უნებართვოდ გაკეთებული კარები. ამასთან, სახლის უკანა მხარეზე გაკეთებული 170 სანტიმეტრის სიგანის ღია აივანი მოარღვიოს და კიბე მიადგას პროექტის შესაბამისად.

25 ივლისიც გავიდა და მდგომარეობა კვლავაც უცვლელია.

დროა ბიუროკრატიულ კონვეიერს შევაწყვეტინოთ მოქმედება.

შ. ჯავახაძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ეურის სასხლობის მუშაობა უნდა განახლდეს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 9 ივლისის ნომერში დაბეჭდილ წერილში სოფლკორი გ. მარცვალაშვილი მოითხოვდა სოფელ ჩარგალში წინათ არსებული პურის საცხობის შეკეთებას და აღდგენას.

ცეკავშირის გამგეობამ განიხილა „კომუნისტის“ სიგნალი და დაავალა დუშეთის რაიკოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ჯინჭარაულს დაუყოვნებლივ შეაკეთოს და აღადგინოს ჩარგლის პურსაცხობი, მოამარაგოს იგი საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობით, საწვავით, ფქვილით და დამხმარე მასალებით.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში სოფლკორი გ. ტეფნაძე ამხილებდა სერიოზულ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა მუშაობაში.

პარტიის საჩხერის რაიკომი, რომელსაც წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა, გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. კოლმეურნეობაში ბრიგადა მოუწესრიგებელია, არის დარღვევები ფულადი სახსრების ხარჯვაში, კადრების შერჩევაში ვხვდებით შინაურულობასა და ნაცნობ-მეგობრობას. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. კაპანაძეს ხელფასის ანგარიშში ზედმეტად მიღებული აქვს 2.251 მანეთი.

კოლმეურნეობის გამგეობის მხრივ კონტროლის უქონლობით ისარგებლა დამამზადებელმა ქ. ყაველაშვილმა და მიითვისა კოლმეურნეობის წევრთა მიერ სახელმწიფო შესყიდვის წესით ჩაბარებული ხორცის ღირებულება — 7.853 მანეთი.

ამ დარღვევათა გამო რაიკომის ბიურომ საყვედური გამოუცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. კაპანაძეს და დაავალა მას 1 სექტემბრამდე დაფაროს ხელფასის ანგარიშში ზედმეტად მიღებული თანხა.

რაიკომის ბიურომ პასუხისგებაში მისცა დამნაშავეები რაიკოოპერატივის დამზადების კანტორიდან, რომლებსაც ბრალი მიუძღვით 1955 წლის დეკემბერში კოლმეურნეობის წევრების მიერ სახელმწიფო შესყიდვაზე ჩაბარებული ხორცის ღირებულების მითვისებაში.

ხორცეულდება ღონისძიებანი კოლმეურნეობის გამგეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

„ასოების ოსტატი“

ამ რამდენიმე ხანის წინათ ენციკლოპედიურ-მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობამ გვაცნობა ნემეტ ანოორის რომანი „ასოების ოსტატი.“

ამ ნაწარმოებში — მოთხრობითია ცხოვრება ტრანსილვანიელი მესტამბისა, რომელმაც ეს ხელობა ამსტერდამში შეისწავლა და მთელ ევროპაში გაითქვა სახელი. ეს წიგნი იმიტომ არის შესანიშნავი, რომ ზემოაღნიშნულმა მესტამბემ ტოტფალუშ კიშ მიკლოშმა მეფე არჩილის შეკვეთით დაამზადა ქართული შრიფტი.

ავტორი ამ წიგნში საქართველოს ხატავს ნამდვილ მშვენიერების ქვეყნად. იგი არ იშურებს სალებავებს ამ მართლაც ლამაზი ქვეყნის დასახატავად. ის თითქმის სრულყოფილად იცნობს საქართველოს ისტორიას, იმდროინდელი ფეოდალების თავაშვებულობას, რის მიზეზითაც მეფე არჩილი, ეს დიდად განათლებული და დიდად განსწავლული პიროვნება საქართველოდან რუსეთში გადაიხვეწა. და სწორედ ამ პერიოდში, მოსკოვში ცხოვრების დროს, არჩილ მეფემ გაუგზავნა წერილი ამსტერდამის ქალაქის თავს. წერილს თან ქართული ასოების — ხუცური და მხედრული დაწერილობის ნიმუშები ახლდა. აი რას სწერდა არჩილი ქალაქის თავს:

„პატივცემულო მეგობარო ჩემო, ამსტერდამის ბურგომისტრო! შენ მხეკდავების ქალაქის ბურგომისტრი ხარ და სწორედ ამიტომ გწერ ამ წერილს. ჩემთვის აუცილებელია სტამბა. თუმცა დაზგები უკვე მაქვს, მაგრამ ასოები მაკლია. აქ არ შეუძლიათ ამოჭრან ისეთი ასოები, როგორიც ჩვენ. გვინდა — ქართული ასოები. ამიტომ მოგმართავ შენ, რათა მონახო ამსტერდამში ოსტატი ამომჭრელი, რომელიც შეძლებს ამოჭრას ასოები ამ წერილთან დართული ნიმუშის მიხედვით და ჩამოასხას ისინი. სამსახურს, რასაკვირველია, კეთილსინდისიერად ავუნაზღაურებ.

გთხოვ — ხელი მოჰკიდე ამ დავალებას, რითაც ჩემს მეგობრულ განწყობილებას დაიმსახურებ...“

ქალაქის თავმა ეს წერილი და ქართული ასოების ნიმუში აჩვენა ტოტფალუშს, რომელმაც სიამოვნებით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. მან დიდი მონდომებით შეისწავლა ქართული ასოების მოხაზულობა, მისცა მათ შრიფტისათვის სახურველი, უფრო ლამაზი სახე და ჩამოასხა ისინი.

ქართული ასოები — უნგრელის ხელით!

ქართული წიგნი — უნგრელის ხელით დამზადებული შრიფტით!

აი ყოველივე ეს მე, როგორც უნგრელს, ჩემი საყვარელი ერის შვილს, რომლის მეორე სამშობლო საქართველოა, მახარებს და აღმაფრთოვანებს. ხოლო ამაზე მეტად მახარებს ის, რომ ეს უძველესი მეგობრობა ჩემს ორ სამშობლოს შორის უფრო მტკიცდება და იზრდება ახლა. და თუ დღეს ასე ლაღად და თავისუფლად ცხოვრობს უნგრელი საქართველოში, ქართველი უნგრეთში, ეს ჩვენი სოციალისტური წყობილების ერთიანობაა, ეს ლენინური ბრძნული ინტერნაციონალური იდეების ზეიმია.

ილონა ბეკეში.

4 კილოგრამი ხორბალი ავანსად

ბოლნისის რაიონის სოფელ აბდალოს ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა წელს ბეჯითი შრომით მაღალი მოსავალი მიიღეს.

კოლმეურნეობამ დაამთავრა სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარება, გამოყო სათესლე მასალა და ავანსად შრომადღეზე გასცა 4 კილოგრამი ხორბალი. კოლმეურნე ასატ რუსტამ ოღლის ოჯახმა მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში 1.100 შრომადღე გამოიმუშავა და მიიღო 4.400 კილოგრამი ხორბალი, ჰაჯი მუსტაფა ოღლის ოჯახმა — 1.600 კილოგრამი. ასეთი ოჯახი ამ კოლმეურნეობაში ბევრია. (**„კომუნისტის“ კორ.**).

მეტი თამბაქოსათვის ბრძოლაში

გალის რაიონის სოფელ შეშელეთის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადა (ხელმძღვანელი მ. შამუგია) წლითიწლობით ახალ წარმატებებს აღწევს თამბაქოს უხვი მოსავლისთვის ბრძოლაში.

დროზე და მაღალხარისხოვნად განახორციელა რა ყველა აგროტექნიკური ღონისძიება, ბრიგადამ წელსაც თამბაქოს უხვი მოსავალი მოიყვანა. ახლა ბრიგადის წევრები ნაყოფიერად მუშაობენ იმისათვის, რომ მოკლე დროში და უდანაკარგოდ აიღონ თამბაქოს მოსავალი. თამბაქოს შეტეხა დასასრულს უახლოვდება.

ჩაებნენ რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ალსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ბრიგადის წევრებმა იკისრეს წელს მოსავლელად მიჩენილი თამბაქოს პლანტაციებიდან მიღონ გეგმით გათვალისწინებულზე ერთნახევარჯერ მეტი მოსავალი.

მ. ხეცურიანი.

სურათზე: სოხუმის რაიონის სოფელ ეშერის ჯანაშიას სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოე მ. ზადიკანი, რომელმაც მისთვის მოსავლელად მიჩენილ პლანტაციაში თამბაქოს მოსავლის აღების გეგმა 150 პროცენტით შეასრულა.

ფოტო არ. ჭოხონელიძისა.

დასავლეთის ახალი წინადადება ვერ აღმოფხვრის ძველ დაბრკოლებებს შეთანხმების მიღწევისათვის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში

ლონდონი, 24 აგვისტო. (საკდესი). აქ ცნობილი გახდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომაზე 23 აგვისტოს საფრანგეთის წარმომადგენელმა მოკმა და შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სტასენმა უპასუხეს საბჭოთა წარმომადგენლის ვ. ა. ზორინის შეკითხვებზე, რომლებიც შეეხება დასავლეთის სახელმწიფოების მიერ 21 აგვისტოს შეტანილ წინადადებას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

ამ პასუხების შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელმა შეაჯამა დასავლეთის ახალი წინადადების წინასწარი გარჩევის ზოგიერთი შედეგი.

იქიდან, რაც მოკმა და სტასენმა ჩამოაყალიბეს, თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა, ცხადია, რომ ეს წინადადება მათ მიიჩნიათ ყველა იმ ღონისძიების განუყოფელ ნაწილად, რომლებიც დასახულია როგორც ნაწილობრივი განიარაღების ღონისძიებანი, და მათი აზრით, არ შეიძლება გადაიტრას დამოუკიდებლად. ხოლო შეთანხმება განიარაღების ნაწილობრივ ღონისძიებათა შესახებ ჯერ არ არის მიღწეული და ამ ნაწილობრივი შეთანხმების ყველა საკითხში ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ თანხმობას. ამიტომ, გვსურს ჩვენ თუ არა გვსურს, ეს გარდუვალად აბრკოლებს ახლა გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. ამრიგად, დასავლეთის ახალი წინადადება ამ მხრივ არ ცვლის მდგომარეობას, რომელიც აქამდე არსებობდა. როგორც წინათ, დასავლეთის სახელმწიფოები დაჟინებით მოითხოვენ, რომ გამოცდის შეწყვეტა დაიწყოს მხოლოდ მაშინ, როცა ხელმოწერილი იქნება საერთო შეთანხმება განიარაღების ნაწილობრივ ღონისძიებათა შესახებ. ამ მხრივ ცვლილებანი არ არის.

რაც შეეხება ხლეჩადი მასალების წარმოების შეწყვეტასთან გამოცდის შეწყვეტის დაკავშირების საკითხს, როგორც მოკისა და სტასენის პასუხებიდან ჩანს, საჭიროა თანხმობა წარმოების შეწყვეტის პრინციპთან. და თუ 24 თვის განმავლობაში არ შეწყდება წარმოება, გამოცდის შემდგომი შეწყვეტა აღარ მოხდება.

ამასთანავე დასავლეთის სახელმწიფოები ილაშქრებენ ატომური იარაღის აკრძალვის წინაღმდეგ, და ისინი ხლეჩადი მასალების წარმოების შეწყვეტას განიხილავენ როგორც იზოლირებულ ღონისძიებას ატომური იარაღის აუკრძალავად, მის გამოყენებაზე უარის უთქმელად და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან ამოუღებლად. ამრიგად, აქაც არ არის არავითარი ცვლილება იმასთან შედარებით, როგორიც იყო დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია წინთ.

მაშ რით განსხვავდება ეს წინადადება დასავლეთის სახელმწიფოთა წინანდელი პოზიციისაგან გამოცდის შეწყვეტის საკითხში?

ახლა უკვე ცხადია, რომ მთავარ საკითხებში, რომლებიც ძირითად დაბრკოლებებს წარმოადგენდნენ შეთანხმების დადებისათვის, ცვლილებები არ არის.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის იდგა და დგას იმ პოზიციაზე, რომ საჭირო არ არის გამოცდის აკრძალვა დავუკავშიროთ ნაწილობრივი განიარაღების სხვა ღონისძიებებს, რადგან ეს ეტაპად შორს წაგვიყვანს, გააჭიანურებს ამ საკითხის გადაჭრას და მარტივი საკითხი დაიკარგება უამრავ რთულ საკითხში. ამ დაბრკოლებას დასავლეთის ახალი წინადადება ვერ აღმოფხვრის.

აღმოფხვრილი არ არის აგრეთვე დაბრკოლება, რომელიც გამოცდის შეწყვეტას დამოკიდებულს ხდის სამხედრო მიზნით ხლეჩადი მასალების წარმოების შეწყვეტაზე, ამასთან ხლეჩადი მასალების წარმოების ეს შეწყვეტა იზოლირებულია ატომური იარაღის აკრძალვის, სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მისი ამოღების სხვა ღონისძიებებისაგან.

ავიღოთ ახლა გამოცდის შეწყვეტის ვადის საკითხი. წინათ დასავლეთის სახელმწიფოებმა აღნიშნეს ვადა — 10 თვე. სტასენის პასუხი, რომ ახლა დასავლეთის სახელმწიფოები 10 თვის ნაცვლად მოითხოვენ ორ წელიწადს და რომ ეს არის განსხვავება წინანდელისაგან, — ეს პასუხი ზუსტი არ არის. სტასენის 2 ივლისის გამოსვლაში ქვეკომიტეტში უკვე ნათქვამი იყო, რომ „უნდა გადაწყდეს 10 თვის ვადის გასვლამდე, არის თუ არა შესაძლებლობა მოხდეს შეთანხმება ამ ვადის გაგრძელების შესახებ ერთი ან რამდენიმე პერიოდით — 10 თვით, ორ ან სამ წლამდე და უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც, ან კიდევ, როცა გაივლის აღნიშნული 10 თვე, დავასკვნათ, რომ გარეშეპანი ხელს უშლიან შეთანხმებას შემდგომი შეჩერების შესახებ“.

ამრიგად, სტასენი 2 ივლისს იდგა იმ პოზიციაზე, რომ 10 თვის ვადის გასვლამდე შესაძლებელი იყო გადაჭრა, საჭიროა თუ არა შეთანხმება ამ ვადის გაგრძელების შესახებ ამა თუ იმ პერიოდით ორ და სამ წლამდეც კი.

ახლა 10 თვის ნაცვლად პირველი ასეთი შესამოწმებელი პერიოდი გაგრძელებულია 12 თვემდე, ესე იგი ორი თვით, და ამ პერიოდის განმავლობაში — 2 თვეში გადაიჭრება ის, რაც ნათქვამი იყო 2 ივლისს, გაგრძელდება თუ არა ეს პერიოდი კიდევ 12 თვემდე თუ არ გაგრძელდება.

ამრიგად, 10 თვის ვადის ნაცვლად დადგენილია 12 თვე, და შემდეგ ნათქვამია, რომ შეიძლება გაგრძელდეს ორ წლამდე. მაგრამ ეს გადასვლა დამოკიდებული იქნება იმაზე, მიღებული იქნება თუ არა პირობა, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებმა წამოაყენეს — ხლეჩადი მასალების წარმოების შეწყვეტა ატომური იარაღის აუკრძალავად და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან არსებული იარაღის ამოღებულად.

ასეთია ის წინასწარი დასკვნა, თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა, რომელიც შეიძლება გავაკეთოთ იმის პირველი ანალიზით, რაც ჩვენ გვაქვს ახლა დასავლეთის ამ ახალ წინადადებაში.

შუქრი კუატლის ინტერვიუ ეგვიპტის გაზეთ „ალ-აჰრამისადმი“

კაირო, 23 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „ალ-აჰრამმა“ დღეს გამოაქვეყნა სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტის შუქრი კუატლის ინტერვიუ. შუქრი კუატლი ამეამად ალექსანდრიაში მკურნალობს.

კითხვაზე სირიაში მთავრობის საწინააღმდეგო ამერიკული შეთქმულების შესახებ, რომელიც ამას წინათ გამოაშკარავდა, კუატლმ უპასუხა: „ეს პირველი შეთქმულება როდია, რომელიც უცხოეთის იმპერიალისტმა მოაწყო განთავისუფლებული ქვეყნების დამოუკიდებლობის მოსასპობად. ბევრი სხვადასხვა ფორმის შეთქმულება მოეწყო ჩვენი დამოუკიდებლობისა და განთავისუფლების ჩვენი პოლიტიკის შესარყევად, რომელიც ესწრაფვის მხოლოდ ჩვენი მთლიანობის შენარჩუნებას, ჩვენი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვას და იმას, რომ მშვიდობიანად განვაგრძოთ ჩვენი ღონისძიებანი სოციალურ-ეკონომიური დონის ასამაღლებლად. გუშინ — ბერმუდესის თათბირი, დღეს — ატლანტიკის სახელმწიფოთა ახალი თათბირი, ახალი და ახალი თათბირები. მაგრამ არაბთა ნაციონალიზმი, რომელიც გიგანტი ხდება, ფხიზლად არის ყველა ამ შეთქმულების წინააღმდეგ. არაბთა საყოველთაო შეგნებას შეუძლია დამარცხოს მის წინააღმდეგ მიმართული ყველა შეთქმულებისა და კონსპირაციის მიზნები“.

პრეზიდენტმა უარყო დასავლეთის სახელმწიფოთა მტკიცება, რომ სირიის ხელმძღვანელები კომუნისტები არიან.

„ჩვენი პოლიტიკა, რომელიც არაერთხელ გამოგვიცხადებია, — განაგრძო პრეზიდენტმა, — ნეიტრალიტეტის პოლიტიკაა, იმის პოლიტიკაა, რომ არ შევუერთდეთ ბლოკებს. ჩვენ გვინდა, რომ დასავლეთის სამყაროს ეცოდინოს ეს პოლიტიკა მისი ჭეშმარიტი აზრის მიხედვით. ჩვენ გვინდა, რომ მან თავი შეიკავოს ინტრიგებისაგან ჩვენს წინააღმდეგ და შეწყვიტოს შეთქმულებათა მოწყობა ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ჩვენ გვინდა, რომ მან თავი შეიკავოს საბჭოების დადებისა და გეგმების შემუშავებისაგან იმ მიზნით, რომ ჩაგვაბას ომის ბანაკებში და შეგვაერთოს ბლოკებთან და იმპერიალიზმთან.

დასავლეთმა, და განსაკუთრებით შეერთებულმა შტატებმა თავი უნდა დაგვანებონ. დასავლეთმა უნდა შეწყვიტოს თავისი მტკიცება, თითქოს ჩვენ კომუნისტები ვიყოთ. მან უნდა შეწყვიტოს ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევა და ცდები — ჩაგვაბას ბაღდადის პაქტში ან გვაიძულოს შევუერთდეთ ეგრეთწოდებულ ეიზენჰაუერის დოქტრინას. დასავლეთმა უარი უნდა თქვას ვაკუუმის ამოვსების თეორიაზე, რომელიც, როგორც იგი აძტკიცებს, ამ რაიონში არსებობს. ყოველი ვაკუუმი ყოველ ქვეყანაში შეიძლება მხოლოდ მისმა საკუთარმა ხალხმა ამოავსოს; სხვებისთვის იქ ადგილი არ არის.

დასავლეთმა საშუალება უნდა მისცეს შუა აღმოსავლეთს თავისუფლად განვითარდეს განთავისუფლების, ხალხისათვის უფრო მაღალი ცხოვრების დონისა და მშვიდობის მიღწევის მიმართულებით“.

პრეზიდენტმა შუქრი კუატლმ გადაჭრით გააბათილა მტკიცება, რომ სირიის ამასწინანდელი ეკონომიური მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან თითქოს „არაკეთილსასურველ გავლენას მოახდენს პოზიტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე“, რომელსაც სირიის მთავრობა ახორციელებს. მან თქვა: „როგორც მე უკვე ვთქვი, ჩვენ ჩვენს პოლიტიკას საფუძველად ვუდებთ ნეიტრალიტეტს და ამას, რომ არ შევუერთდეთ ბლოკებს. ჩვენ ვმოქმედებდით და კვლავაც ვმოქმედებთ ამ პრინციპის საფუძველზე. ჩვენ დახმარებას ვეძებთ ყველასთან, ვინც აფასებს ჩვენს პოზიციას და კეთილ განზრახვებს, ვინც გვიწვდის წმინდა და პატიოსან ხელს და გვთავაზობს განუპირობებელ დახმარებას ჩვენი ეკონომიკის, ჩვენი განმათავისუფლებელი ნეიტრალური პოლიტიკის აღმავლობისათვის...“.

როცა პრეზიდენტს შეეკითხნენ სირიის ურთიერთობაზე შეეოთებულ შტატებთან, მან უპასუხა: „არ შეიძლება სირიის გამტყუნება შეერთებულ შტატებთან ახლანდელი უთანხმოებისათვის. პასუხისმგებლობა ამ დაძაბულობისათვის აკისრია ამერიკის საელჩოს ზოგიერთ თანამშრომელს, რომლებმაც დაარღვიეს დიპლომატიური პრაქტიკა, რაც კრძალავს ერთ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას, სადაც ისინი აკრედიტებული არიან. ეს მოხდა ამასწინანდელი შეთქმულების დროს სირიაში. სირიას არ მოუთმენია და არც არასოდეს მოუთმენს, რომ უცხოეთი ჩაერიოს მის საშინაო საქმეებში. იგი ყოველთვის უყოყმანოდ დაიცავს თავს ყოველი საფრთხისაგან, რომელიც მის უშიშროებასა და სუვერენიტეტს ემუქრება“.

გაზეთ «ჰინდუსტან ტაიმსის» მთავარი რედაქტორი დურგა დასი თბილისში

ინდოეთის გაზეთის „ჰინდუსტან ტაიმსის“ მთავარი რედაქტორა დურგა დასი, რომელიც თბილისში იყო, გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ცხოვრებას. მან გაისეირნა ქალაქში, დათვალიერა კულტურისა და დასვენების ახალი პარკი ვაკეში, საბავშვო რკინიგზა. შემდეგ ეწვია სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს.

— თბილისმა, — თქვა ბ-ნმა დურგა დასმა, — ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს არის მეტად მიმზიდველი და თავისებურად ლამაზი ქალაქი, რომელსაც შემდგომი განვითარების დიდი პერსპექტივები აქვს.

სპეციალოს რაიონში დურგა დასი გაეცნო აქ წარმოებულ საბინაო მშენებლობას. იგი ავიდა ამას წინად აგებული ერთ-ერთი სახლის მესამე სართულზე. სტუმარი მიიწვიეს პენსიონერ ა. დოლიძის ბინაში, სადაც ლაპარაკობდა ოჯახის ცხოვრების პირობებით, შრომით. გამოთხოვებისას ბ-ნმა დურგა დასმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულითადი მიღებისათვის და ბედნიერი ცხოვრება უსურვა მათ.

— საბჭოთა კავშირში, — თქვა ბ-ნმა დურგა დასმა, — მშრომელებისათვის შექმნილია ცხოვრების ყველა პირობა.

დურგა დასი „დინამოს“ სტადიონზე დაესწრო მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა გუნდების ფეხბურთის მატჩს.

გაზეთ „ჰინდუსტან ტაიმსის“ მთავარი რედაქტორი დურგა დასი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ი. კუჭავამ.

თბილისელმა ჟურნალისტებმა თავიანთი ინდოელი კოლეგის პატივსაცემად გამართეს სადილი, რომელშაც გულთბილ და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

25 აგვისტოს საღამოს დურგა დასი სოხუმში გაემგზავრა. (საქდესი).

საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ბაზარი იუგოსლავიაში

ბელგრადი, 24 აგვისტო. (საკდესი). დღეს ქალაქ ნოვი-სადში გაიხსნა 25-ე საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ბაზარი, რომელშიც მონაწილეობს 15 ქვეყნის 2 ათასზე მეტი ფირმა, ორგანიზაცია და საწარმო.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის IV კონგრესმა მუშაობა დაამთავრა

კიევი, 23 აგვისტო. (საკდესი). დღეს განსაკუთრებული ერთსულოვნების ვითარებაში კონგრესი იღებს მიმართვას მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი, ყველა ხალხს, პარლამენტისა და მთავრობისადმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და აკრძალვის შესახებ.

ჩვენ მოვითხოვთ, ნათქვამია მიმართვაში, დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომგულის იარაღის ყოველგვარი გამოცდა და დაიდოს სათანადო შეთანხმება ატომური იარაღის მქონე სახელმწიფოთა შორის. ჩვენ მოვითხოვთ კანონ-გარეშე გამოცხადდეს და აიკრძალოს მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღი. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ატომის ენერგია გამოყენებულ იქნას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის.

კონგრესმა მიმართა მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას და მოუწოდა აღიმაღლოს ხმა ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვისათვის, გამალებული ატომური შეიარაღების შეწყვეტისათვის, ატომის ბაზების აგებისა და ატომური იარაღის შემოტანის წინააღმდეგ. მიმართვა შეიცავს მოწოდებას მთელი მსოფლიოს პარლამენტებისა და მთავრობებისადმი — მოსთხოვონ ატომური იარაღის მქონე სახელმწიფოებს, რათა დადონ ხელშეკრულება მისი გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და აკრძალვის შესახებ.

შემდეგ კონგრესმა მოიწონა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მოწოდება მთელი საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაციებისადმი და მიიღო კონგრესის რეზოლუცია „ახალგაზრდობა თანამედროვე მსოფლიოში და დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ამოცანები“.

მას შემდეგ, რაც სიტყვა წარმოთქვა ქაჯ დენიმ, რომელიც კომისიის სახელით გამოვიდა დღის წესრიგის მეორე პუნქტზე, კონგრესმა ერთხმად დამტკიცა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ახალი წესდება. დარბაზში გაისმის ხანგრძლივი ტაში.

კამერუნის წარმომადგენლის წინადადებით კონგრესი იღებს რეზოლუციას, რომლითაც სოლიდარობას უცხადებს ამ ქვეყნის ახალგაზრდობას.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი ბრუნო ბერნინი მოკლე სიტყვით აჯამებს კონგრესის შედეგებს. შეკრებილთა ტაშის გრიალში იგი აღნიშნავს, რომ ყველა საკითხზე, რომლებიც განხილული იყო პლენარულ სხდომებსა და კომისია-კოლეგიების სხდომებზე, მიღწეულია სრული ერთსულოვნება. ამან ხელი შეუწყო კონგრესის წარმატებით მუშაობას, ახალგაზრდობის მომავლისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების მიღებას.

შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ კონგრესის მსვლელობაში დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის შემადგენლობაში მიღებული არიან კვიპროსის, ნეპალის, კამერუნის, ტოგოს, რეუნიონის ცალკეული ორგანიზაციები, რომელთა მეთვალყურეობა კონგრესს ესწრებოდნენ.

23 აგვისტოს საღამოს გაიმართა კონგრესის საბოლოო სხდომა. გამოქვეყნდა შედეგები ფედერაციის აღმასკომის არჩევნებისა, რაც დახურულ სხდომაზე შედგა.

აღმასკომის შემადგენლობაში არჩეული არიან სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულია ბრუნო ბერნინი (იტალია), გენერალურ მდივნად კრისტიან ეშარი (საფრანგეთი), გენერალური მდივნის მოადგილედ არჩეულია სენეგალის ახალგაზრდობის წარმომადგენელი ლო შეიკ ბარა, პირველ ვიცე-პრეზიდენტებად და ვიცე-პრეზიდენტებად არჩეული არიან ინგლისის, ინდოეთის, ინდონეზიის, იტალიის, ჩინეთის, მექსიკის, პოლონეთის, სსრ კავშირის, სუდანის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჩილის ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოთა დელეგაციისაგან დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის შემადგენლობაში შევიდნენ ა. შელეპინი (დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი), ვ. ვდოვინი (დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მდივანი).

დღის წესრიგი ამოწურულია.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის IV კონგრესმა მუშაობა დაამთავრა.

საბჭოთა და ინგლისელი სპორტსმენების შეჯიბრება

ლონდონი, 24 აგვისტო. (საკდესი). ლონდონში „უაიტ-სიტის“ სტადიონზე დამთავრდა სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ორი დღის შეჯიბრება, რომელიც თვალსაჩინო მოვლენა გახდა მიმდინარე მძლეოსნურ სეზონში. სსრ კავშირის გუნდმა მოიპოვა მტკიცე გამარჯვება ანგარიშით 119:93 ვაჟთა შორის და 73:40 ქალთა შორის. 31 სახეობის შეჯიბრებაში საბჭოთა მძლეოსნებმა მოიგეს 22 და წააგეს 9. შეჯიბრების მსვლელობაში, რომელიც განსაკუთრებული დაძაბული სპორტული ბრძოლით მიმდინარეობდა, აჩვენეს მთელი რიგი მაღალი შედეგები. დამყარებულ იქნა სსრ კავშირისა და ინგლისის რეკორდები, აგრეთვე ინგლისის სტადიონების რამდენიმე რეკორდი. სსრ კავშირის ახალი რეკორდი შუბის ტყორცნაში დაამყარა ვ. კუზნეცოვმა.

შეჯიბრებისადმი ინტერესი ინგლისში უდიდესი იყო. მაყურებელი მხურვალედ მიესალმებოდნენ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ. განსაკუთრებით მჭუხარე ოვაცია მოეწყვეს ვ. კუცს, რომელმაც რბენის დამთავრების შემდეგ საპატიო წრე შემოუარა. შეჯიბრებას დაესწრო სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი, რომელმაც საუკეთესო ინგლისელ სპორტსმენებს გადასცა საბჭოთა გაზეთ „სოვიეტ უიკლის“ სპატაკი პრიზები; ეს გაზეთი ლონდონში გამოდის.

საბჭოთა სპორტსმენებმა აღნიშნეს შეჯიბრების დიდი ორგანიზებულობა. საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ლ. ხომენკოვმა დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა ინგლისელ მძლეოსან-მოყვარულთა ასოციაციას და მის მდივანს ჯ. კრამპს, შეჯიბრების ორგანიზატორს გაზეთ „ნიუს ოფ უორლდს“, აგრეთვე სპორტის ინგლისელ მოყვარულებს განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც საბჭოთა სპორტსმენებს აღმოუჩინეს. დღეს საღამოს ინგლისელ მძლეოსან-მოყვარულთა ასოციაციამ და გაზეთ „ნიუს ოფ უორლდის“ რედაქციამ სადილი გამართეს საბჭოთა და ინგლისელი სპორტსმენების პატივსაცემად.

შეჯიბრებამ მეგობრულ, ნამდვილ სპორტულ ვითარებაში ჩაიარა...

ლონდონი, 25 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს ინგლისელ მძლეოსან-მოყვარულთა ასოციაციამ და გაზეთ „ნიუს ოფ უორლდის“ რედაქციამ სადილი გამართეს სსრ კავშირისა და ინგლისის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების შეჯიბრების მონაწილეთა პატივსაცემად.

ასოციაციის სახელით სტუმრებს მიესალმა ლორდი ეგზეკეტერი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისელი მძლეოსნები ძლიერ მოხარული იყვნენ შეხვედროდნენ საბჭოთა გუნდს, და თქვა, რომ შეჯიბრებამ განსაკუთრებულ მეგობრულ, ნამდვილ სპორტულ ვითარებაში ჩაიარა. ამ შეჯიბრებამ, თქვა მან, ხელი შეუწყო მეგობრობის განმტკიცებას არა მარტო სპორტსმენთა შორის, არამედ აგრეთვე ორივე ქვეყნის ხალხთა შორის.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკმა, რომელმაც საბჭოთა სპორტსმენების სახელით მადლობა გადაუხადა შეჯიბრების მომწყობთ მშვენიერი ორგანიზაციისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც საბჭოთა სპორტსმენებს ინგლისში მოუწყეს. მან ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა და ინგლისელი მძლეოსნების კარგ ტრადიციად ქცეული შეხვედრების მნიშვნელობა სსრ კავშირისა და ინგლისის ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის.

ჩვენ, თქვა ი. ა. მალიკმა, ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ მეგობრული შეხვედრების, აზრთა გაზიარების, ჩვენი ხალხების წარმომადგენელთა ურთიერთობის ყოველი ღონისძიებით გაფართოების, მათ შორის სპორტული შეხვედრების გზით, უფრო მეტად გავიცნობთ ერთმანეთს, უკეთ განვავითარებთ და განვამტკიცებთ ურთიერთგაგებას. დასასრულ ი. ა. მალიკმა სადღეგრძელო წარმოთქვა სსრ კავშირსა და ინგლისს შორის კულტურული, მეცნიერულ-ტექნიკური და სპორტული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის, კეთილშობილური მიზნისათვის — განმტკიცონ ხალხთა მეგობრობა და ურთიერთგაგება.

ინგლისელ მძლეოსან-მოყვარულთა ასოციაციის სახელით სიტყვა წარმოთქვა მდივანმა ჯ. კრამპმა. მან სსრ კავშირის ნაკრებ გუნდს მიულოცა გამარჯვება და აღნიშნა ისეთი გამოჩენილი საბჭოთა სპორტსმენი ვაეები და ქალები, როგორიც არიან კუცი, სტეპანოვი, კაშაროვი, კუზნეცოვი, ციბულენკო, ოტკალენკო, ზიბინა, ოაუნზემე. კრამპმა აგრეთვე გამოთქვა რწმენა, რომ შეჯიბრება გახდა წვლილი საბჭოთა და ინგლისელ სპორტსმენებს შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში. ჩვენ უფრო ხშირად უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, თქვა მან დასასრულ.

შემდეგ გამოსულმა საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელმა ლ. ხომენკოვმა მადლობა გადაუხადა ინგლისის სპორტული საზოგადოებრიობას სტუმართმოყვარეობისათვის და ინგლისელი სპორტსმენები დაარწმუნა, რომ მოსკოვში, სადაც ისინი უნდა ჩამოვიდნენ მომავალი წლის სექტემბერში საპასუხო ვიზიტით, მათ მოელის უაღრესად გულითადი შეხვედრა. მაშ, მალე ახალ შეხვედრამდე, მეგობრებო, დაამთავრა მან სიტყვა.

საბჭოთა და ინგლისელმა სპორტსმენებმა ერთმანეთს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები და სუვენირები. საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ლ. ხომენკოვმა ინგლისელ მძლეოსან-მოყვარულთა ასოციაციას გადასცა მეგობრობის სამახსოვრო თასი.

სადილმა განსაკუთრებით გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

თბილისელ დინამოელთა გამარჯვება

ოანაკლუბელთა შეუპოვარი ბრძოლა დამთავრდა. მსაჯის ოთახში ახოვანმა კაცმა დინჯად შემოაღო კარი, თბილისის დინამოელთა წარმომადგენლებს გამარჯვება მიულოცა, მსაჯებს მადლობა გადუხადა და მ ც ი რ ე ო დ ე ნ ი დუმილის შემდეგ შეჯიბრების ოქმს გადააკლო თვალი.

ეს იყო მოსკოვის დინამოელთა უ ფ რ ო ს ი მშვრთნელი, სპ ო რ ტ ი ს დამსახურებული ოსტატი ნ. იაკუშინი. ყველას გვაინტერესებდა, რა შეფასებას მისცემდა იგი გუნდის წევრებს. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მაღალი ნიშანი — 5 მცველმა კუზნეცოვმა მიიღო, ხოლო უმრავლესობამ, მათ შორის თავდამსხმელებმა — სამიანები.

როგორც დავინახეთ, შეიცვალა წლობით დამკვიდრებული ტრადიცია, მოსკოვის დინამოელებმა დამარცხება განიცადეს. ამიტომ მწვრთნელმაც თავიდ მოთამაშეთა თამაშს დაბალი შეფასება მისცა.

მოკლედ 25 აგვისტოს მატჩის მსვლელობაზე.

მართალია თასისათვის ბრძოლა თავისი დაძაბულობით განსხვავდება სხვა შეხვედრებისაგან, მაგრამ ამ ასპარეზობამ მოლოდინს გადააჭარბა. თამაში იმით დაიწყო, რომ თბილისელებმა ორი ღრმა რეიდი მოაწყეს სტუმართა საჯარიმო მოედანზე. მალე მოსკოველებმა კონტრშეტევით უპასუხეს. საინტერესო აღმოჩნდა გუნდების კაპიტნების ელოშვილისა და რიჟკინის ორთაბრძოლა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გამარჯვებული ელოშვილი გამოვიდა. რიჟკინი იძულებული იყო ადგილი შეეცვალა, მას ხშირად მარჯვენა ფლანგზე ვხედავდით.

მოსკოვის „დინამოს“ თავდასხმელთა ძლიერი ხუთეული ფრთაშეკვეცილი აღმოჩნდა. მამედოვი ჩაკეტილი იყო, მამიკინმა და ფედოსოვმა ვერ ააწყეს თამაში. მოწინააღმდეგის ასეთ შებოჭვაში დიდი როლი შეასრულეს ელოშვილმა, რამიშვილმა, ძიაშვიამ.

ბრძოლა თანდათანობით გამწვავდა. მოსკოველთა კარი ხშირად საფრთხეში იყო. გოლის საკითხი მომწიფდა. აი ეს მომენტიც: 25-ე წუთზე იმანინძემ კარგად გაუჭრა წინ ბურთი ჭკუასელს, რომელმაც გვერდი აუარა ჯერ მცველს, შემდეგ მეკარეს და ძნელი მდგომარეობიდან პირველი ბურთი გაიტანა.

მოსკოველებს ბევრი არ დაუყოვნებიათ. 3 წუთის შემდეგ კარგად გამოიყენეს რა მეკარე კოტრიკაძის შეცდომა, სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს. ბურთი გაიტანა შაპოვალოვმა.

1:1 — ასეთი იყო პირველი ტაიმის შედეგი.

მატჩის საბოლოო შედეგი მეორე ტაიმს უნდა გადაეწყვიტა. კარგად მოიქცნენ თბილისელები, მაღალი ტემპი რომ აიღეს. ახლა მასპინძლების უპირატესობა აშკარა გახდა არა მარტო ტემპში, არამედ კომბინაციებში, გაშლილ თამაშში და იერიშებშიც. მთელი დატვირთვა იბრძოდნენ მოსკოველები ბეკარე ბელიაევი და მცველი კუზნეცოვი.

ყველა მომენტის აღწერა აქ შეუძლებელია. შეგვიძლია დავასახელოთ ერთი ლამაზი კომბინაცია მე-15 წუთზე, რომელიც იამანიძის მოულოდნელი დარტყმით და გოლით დაგვირგვინდა.

თბილისელებმა შეუპოვარ ბრძოლაში გაიმარჯვეს, გაიმარჯვეს დამსახურებულად. მოსკოვის „დინამო“ გავიდა თასისათვის მებრძოლთა მწყობრიდან. თბილისის დინამოელები მონაწილეობას მიიღებენ მეოთხედფინალში.

ამ მატჩმა, კერძოდ შეჯიბრების მეორე ნახევარმა ცხადყო, რომ თბილისის დინამოელებს შეუძლიათ წარმატებით გამოვიდნენ არა მარტო თასისათვის გამართულ შეხვედრებში, არამედ საკავშირო ჩემპიონატის ასპარეზობაშიც. საჭიროა მხოლოდ ერთსულოვნება, კოლექტიურობა, მაღალი პასუხისმგებლობა.

ვ. გაბელია.

• • •

სურათზე: მატჩის ერთ-ერთი მომენტი მოსკოვის დინამოელთა კართან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის თასზე

მოსკოვის „სპარტაკმა“ ფეხბურთში საკავშირო თასის გათამაშების მეოთხედფინალში დაამარცხა ტანინლავის „სპარტაკი“ ანგარიშით 4:2 და ნახევარფინალში გავიდა.

• • •

თასისათვის მებრძოლთა რიგებს ფეხბურთელთა კიდევ ერთი კოლექტივი გამოაკლდა კიევის „დინამოს“ სახით. დინამოელები დამარცხდნენ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ 1:3.

• • •

მერვედფინალური მატჩი ლენინგრადში დედაქალაქის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდებს შორის დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით 3:1.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

გუშინ მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე გამართა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვისა და მინსკის „სპარტაკის“ გუნდები. გაიმარჯვეს ძაბინძლებმა ანგარიშით 2:1.

დამთავრდა მოსწავლეთა IV სპარტაკიადა

რიგაში დამთავრდა მოსწავლეთა IV ტრადიციული სპარტაკიადა. „დაუგავას“ სტადიონზე და სხვა სასპორტო ბაზებზე გამართული ბრძოლები წარმატებით დაგვირგვინდა, დამყარებულია ახალი რეკორდები.

საერთო გუნდური პირველი ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა მოსკოვის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა უკრაინის გუნდი, მესამეზე — საქართველოს მოსწავლე სპორტსმენთა კოლექტივი.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა პირველი ადგილები დაიკავეს წყალბურთში, ტანვარჯიშში, ქალთა კალათბ